საბა

№5
მაისი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

გისაროდენ, მიმადლებულო მარიამ!

საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა?!

ვინ იცის, რატომ დაუთმო ქართული მას-მედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ესოდენ დიდი ყურადღება სოფელ არალში მიმდინარე მოვლენებს, თავიდან „რუსთავი 2“-ის, რამდენიმე დღის შემდეგ კი – „იმედის“ ტელევიზიამ (იანვარის მიწურულსა და თებერვლის დამდეგს)? თავიანთ რეპორტაჟებში მათ არც იმის გახსენება დავიწყებიათ, რასაც წინა წლებში წერდნენ ჟურნალ-გაზეთები. მათი ყურადღების ცენტრში ერთი მართლმადიდებელი მღვდელი აღმოჩნდა, რომელიც კეთილ საქმეებს აკეთებს, ზოგ შემთხვევაში – სასწაულსაც, რაც გამოიხატება ხეიბარი ბავშვების მიმართ სხვადასხვა აღმზრდელობით საქმიანობაში, აღსანიშნავი თავისი ინოვაციური და პოზიციური კუთხითაც. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ყურადღებისა და გამხნევების ღირსია, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში ამ კატეგორიის ადამიანთა მიმართ ორგანიზებული საქმიანობა ფეხს ახლა იკიდებს და, აქედან გამომდინარე, ნამდვილად იმსახურებს ქებას. მაგრამ სინამდვილეში როგორ არის საქმე? ნუთუ სხვა სოფლებსა და ქალაქებში არ იგრძნობა ეს საჭიროება? და თუ ასეა, მაშ, რაღა მაინცა და მაინც ეს სოფელი გამოარჩიეს? ვინ იცის, რას ფიქრობდა არალის მოსახლეობა – ისინი, ვინც თავის ზურგზე იწვნია ამ სოფელში, სწორედ ამ მართლმადიდებელი მღვდლის მიერ წამოწყებული ინიციატივების გამო, კათოლიკე და მართლმადიდებელ ოჯახებს შორის არსებული დაპირისპირება, – ამ რეპორტაჟების ნახვისას და ჟურნალისტებისგან იმ აზრის მოსმენისას, რომ, როგორც იქნა, სოფელში რაღაც კეთდება, რომ თურმე აქამდე არაფერი კეთდებოდა და ბოლოს და ბოლოს, ოთხი საუკუნის შემდეგ, აქ ჩამოვიდა მართლმადიდებელი მღვდელი და ჭეშმარიტი რწმენა მოიტანა.

მათ, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ არალი ის სოფელია, სადაც ტრადიციულად მრავალი კათოლიკე ოჯახი ცხოვრობდა მანამ, სანამ არ დაიწყეს მართლმადიდებლური პროპაგანდა სწორედ იმ მეთოდების გამოყენებით, რის გამოც კიცხავენ კათოლიკე ეკლესიას... და სოფლის ტრადიციულად კათოლიკე ოჯახებმა მართლმადიდებელ ეკლესიაში არ დაიწყეს სიარული... იმასაც ამბობენ, რომ ისინი თავიანთ თავდაპირველ რწმენას დაუბრუნდნენ, ანდა, ისლამის შემოსევებისგან თავდასაცავად, შეეკრნენ რომის კათოლიკე ეკლესიას, რამდენადაც პოლიტიკური და დიპლომატიური მოტივები ამის საშუალებას იძლეოდა. ცხადია, ეს გასათვალისწინებელი, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი განმარტებაა, როგორც ისტორიული, ისე სოციალური თვალსაზრისით; ვერავინ დაივიწყებს, და ვერც იმის უცოდინრად მოაჩვენებს თავს (თუკი ოდნავ მაინც აქვს ისტორიის ცოდნაზე პრეტენზია), რომ საქართველოში სახარების ქადაგებისა და ქრისტიანობის გავრცელების პირველივე ეტაპიდან იყო მცდელობა, რომ გაებათ და შეენარჩუნებინათ კავშირები რომის ეკლესიასთან, იქამდე, რომ იგი თავიანთი ქრისტიანული ისტორიის ნაწილადაც კი აქციეს. აქ ისმის ერთი კითხვა: მაშ, ვინ არიან ის ქართველები, რომლებიც ჭეშმარიტ ქართულ ქრისტიანულ ტრადიციას ინახავენ: ვინც შეინარჩუნა ზიარება რომის ეკლესიასთან, თუ ვინც უარყო ეს ზიარება? გამოდის, ოთხი საუკუნის წინათ უბრალოდ მიუბრუნდნენ XIII საუკუნემდე არსებულ ტრადიციას, რომელიც შემდეგ დაივიწყეს. არის კიდევ ერთი ფაქტორი: სუფთა ადამიანური კუთხით, რელიგიური არჩევანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ვერ შევადარებთ რეკლამის, მოდის ან სოციალური შეგნების სახელით ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცეულ რაიმე პროდუქტს. ამიტომაც ამ კონტექსტში კათოლიკურ სოფელზე საუბარი არაკორექტულია, ისევე როგორც საქართველოზე, რუსეთზე... როგორც მართლმადიდებელ ქვეყნებზე, ან თუნდაც იტალიაზე, როგორც კათოლიკე ქვეყანაზე; სწორი იქნებოდა, გვესაუბრა ადგილზე, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა რწმენის, სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები, მით უფრო დღეს, ამ ცივილიზებულ საზოგადოებაში.

როდესაც უტიფრად აცხადებენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ოთხი საუკუნის შემდეგ, არალში შევიდა ჭეშმარიტი რწმენა, მაშ, რაღა ვთქვათ ქართველ მართლმადიდებელ ეპისკოპოსებზე, რომლებიც ევროპაში, ინგლისში, ამერიკაში, ან სხვაგან რომ იმყოფებიან? გარდა იმისა, რომ ისინი იმ ქვეყანაში მყოფ ქართველებს ემსახურებიან (და ასეც უნდა იყოს სინამდვილეში), განა მათ არ ჰქონიათ სხვა ეკლესიებისა და სხვა რელიგიების მორწმუნეთა შორის პროზელიტიზმის მცდელობა?

ვინ იცის, რატომ სვამენ ამ კითხვას ის ადამიანები, რომლებსაც კათოლიკურ ქველმოქმედებასთან სურთ დაკავშირება: „კი მაგრამ კათოლიკე უნდა გავხდე?“ ან „ხომ არ გააკათოლიკებთ ჩემს შვილს?“ მაინც საიდან იბადება ეს კითხვები და ეს შიში, თუ არა იმ გამუდმებული კიჟინიდან, რომ ქართველი უნდა იყოს მართლმადიდებელი, რომ მხოლოდ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ძალუძს ამ ხალხის გადარჩენა... და არა იმ ჭეშმარიტი ფაქტებიდან, საიდანაც ნამდვილად ჩანს, მისდევს თუ არა კათოლიკე ეკლესია პროზელიტიზმს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობით?

საბოლოოდ, ჩნდება ეჭვი, რომ მთელი ამ რეკლამის უკან დგას დიდი ჩანაფიქრი, რომ საქართველო აქციონ იმ ქვეყნად, სადაც ყველა მისი მოქალაქე იქნება მართლმადიდებელი; და ამის ხორცშესხმას იწყებენ იმ ტრადიციული კუთხიდან, სადაც ჯერ კიდევ შემონახულია კათოლიკური რწმენა. სამწუხაროდ, ამ ცბიერი ჩანაფიქრის ნიშნები თვალშისაცემია: გადანათვლა ჯვრისწერისას, სკოლებში სახელმწიფოსთან მართლმადიდებლობის უზენაესი როლის წარმოჩენა, კონკორდატის მიღება და კათოლიკეთა ეკლესიების მითვისება, ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაციების გავრცელება...

განა არ იციან, რომ კათოლიკურ თემებში წლების მანძილზე დანერგილია ხეიბრებთან მუშაობის მსგავსი ინიციატივები?

ყოველივე ამის მერე, ისევ დაწერენ, რომ საქართველო ტოლერანტულ ქვეყანაა, და რომ ყველაფერი კეთდება რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების პატივსაცემად!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

საფრანგეთის კათოლიკეები ნიქაბის აკრძალვის წინააღმდეგ

გასული წლის 26 იანვარს საფრანგეთის საგანგებო საპარლამენტო კომისიამ წარადგინა მოხსენება კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის თანახმად მუსლიმ ქალებს უნდა აეკრძალოთ ტრადიციული სამოსის ტარება სახელმწიფო დაწესებულებებში, საავადმყოფოებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში. გარდა ამისა, საპარლამენტო კომისიის წევრთა აზრით, უცხოელებს, რომლებიც საჯაროდ ატარებენ „რადიკალური რელიგიური“ კუთვნილების სიმბოლოებს, არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღებაზე.

ამა წლის 1 თებერვალს, საფრანგეთის კათოლიკე ეპისკოპოსები კანონპროექტის მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ.

ეპისკოპოსმა მიშელ სანტიემ აღნიშნა, რომ საფრანგეთში არც ისე ბევრი ქალი ატარებს ნიქაბს. მისი აზრით, აკრძალვა ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს მუსლიმურ სამყაროში, რის შედეგადაც გაუარესდება ქრისტიანულ უმცირესობათა მდგომარეობა ისლამურ ქვეყნებში.

იერარქმა ასევე აღნიშნა, რომ მუშაობის ექვსი თვის მანძილზე კომისიას არ ჰქონია კონსულტაციები ქრისტიან და იუდაისტ ლიდერებთან ამ საკითხთან დაკავშირებით. ეპისკოპოსმა მოუწოდა მთავრობას, პატივი სცეს მუსლიმური უმცირესობის უფლებებს: „თუკი გვსურს, რომ ქრისტიანებმა შეძლონ სარგებლობა თავისი უფლებებით ისლამურ ქვეყნებში, პატივი უნდა ვცეთ ყველა აღმსარებლობის მორწმუნეთა უფლებებს ჩვენს ქვეყანაში“.

სანტიემ ასევე მოუწოდა მთავრობას, განასხვავოს მშვიდობიან მუსლიმთა უმრავლესობა რადიკალურად განწყობილი უმცირესობისაგან.

ამჟამად საფრანგეთში დაახლოებით ორი მილიონი მუსლიმი ცხოვრობს. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ნიქაბს მხოლოდ 2000 მუსლიმი ქალი ატარებს. მიუხედავად ამისა, მუსლიმ ქალთა ამ ტრადიციული სამოსის აკრძალვა რამდენიმე წლის მანძილზე გაცხარებული კამათის მიზეზია. დებატები 2004 წელს დაიწყო, როდესაც საფრანგეთის სკოლებში ნიქაბის ტარება საკანონმდებლო დონეზე აიკრძალა. ახალი კანონის მიღების შემთხვევაში, მუსლიმ ქალებს ან უარის თქმა მოუწევთ ამ სამოსზე, ან, კანონის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა 750 ევროს ოდენობით.

ვატიკანის მასმედიის საშუალებათა მუშაობა არაეფექტურია

ებერჰარდ ფონ ჰემინგენი, ვატიკანის რადიოს გერმანული განყოფილების ყოფილი მთავარი რედაქტორი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ცენტრალური ორგანოს დაარსება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ვატიკანის მასმედიის საშუალებათა მუშაობაზე.

ებერჰარდ ფონ ჰემინგენი ვატიკანის რადიოში 27 წლის მანძილზე მუშაობდა. გერმანული განყოფილების მთავარი რედაქტორის თანამდებობა მან გასული წლის ოქტომბერში დატოვა. ფონ ჰემინგენის აზრით, ვატიკანის მასმედიის საშუალებათა მუშაობა „არაეფექტური და არაპროფესიონალურია“. ისინი დაწვრილებით აშუქებენ მეორეხარისხოვან თემებს და საზოგადოებაში მცდარ შეხედულებას ქმნიან კათოლიკე ეკლესიაზე. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეკლესიის მთავარი საზრუნავია დიალოგი ლეფევრისტებთან, ლათინური მესა და პრეზერვატივების აკრძალვა. სინამდვილეში კი პაპს უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აწუხებს: ღმრთის მყოფობის პრობლემა თანამედროვე სამყაროში, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება, სიცოცხლის დაცვა და დიალოგი რელიგიათა შორის. სწორედ ეს საკითხები უნდა განიხილებოდეს უფრო ფართოდ მასმედიის საშუალებათა მიერ.

სასულიერო პირები თანასწორობის შესახებ კანონპროექტს აკრიტიკებენ

უწმიდესმა პაპმა ინგლისისა და უელსის ეპისკოპოსებს მოუწოდა, გააგრძელონ ბრძოლა თანასწორობის შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ. თავის სიტყვაში ეპისკოპოთა დელეგაციისადმი მან აღნიშნა: ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი ცდილობს, „თავისი პოზიციით, უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა. თუმცა, შედეგად ზოგიერთი საკანონმდებლო აქტისა, რომელიც ამ პრობლემის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს, შეიძლება მივიღოთ გაუმართლებელი შეზღუდვები, რომლებიც დაეკისრება რელიგიურ გაერთიანებებს და წინააღმდეგობაში შევა მათ აღმსარებლობასთან“.

კანონპროექტი 2008 წელს თემთა პალატაში ლეიბორისტული ფრაქციის ლიდერმა, ჰერიეტ ჰარმანმა წარადგინა. თუკი პარლამენტი ამ კანონს დაამტკიცებს, ინგლისისა და უელსის სასულიერო პირები იძულებულნი იქნებიან, სამუშაოდ მიიღონ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლები და, ამრიგად, საკუთარი რწმენის წინააღმდეგ წავიდენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სასჯელი დაეკისრებათ დისკრიმინაციისათვის.

ბენედიქტე XVI-ის სიტყვებმა ბრიტანეთის მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მწვავე რეაქცია გამოიწვია.

ბრიტანეთის ნაციონალური სეკულარული საზოგადოების (National Secular Society) წევრებმა განაცხადეს, რომ სხვა ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევა „არადემოკრატიულია“. „ბრიტანელები 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს დახარჯავენ, რათა შედგეს პაპის ვიზიტი – ვიზიტი, რომლის დროსაც იგი გააკრიტიკებს თანასწორობას და განადიდებს დისკრიმინაციას“, – განაცხადა საზოგადოების პრეზიდენტმა ტერი სანდერსონმა.

„რელიგიურმა ლიდერებმა უნდა აღმოფხვრან უთანასწორობა და არა მარადჰყონ იგი. დიდი ბრიტანეთის გეგმების კრიტიკის მაგივრად, რომის პაპმა იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობამ სათანადოდ იმუშაოს ვატიკანში“, – განაცხადა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ევროპარლამენტში სტივენ ჰიუზმა.

თანასწორობის საკითხთა სამთავრობო სააგენტოს წარმომადგენელი უფრო ფრთხილი იყო თავის გამონათქვამებში, თუმცა იმაზეც მიუთითა, რომ დიდი ბრიტანეთი განაგრძობს თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნის

პოლიტიკას: „ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ ანტიდისკრიმინაციული ნორმების დაცვა სავალდებულოა, როცა საუბარია რელიგიურ წოდებებზე, როგორიცაა ვიკარიუსი, მღვდელი, იმამი ან რაბინი. რელიგიური ორგანიზაციები თავად წყვეტენ, როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში. თუმცა, ყველა არარელიგიური ორგანიზაცია ვალდებული იქნება, დაემორჩილოს ამ კანონს“.

„პაპის სიტყვები გამოხმაურებას ჰპოვებს მათში, ვინც წინააღმდეგობებს ხედავს ამ კანონპროექტში, – აღნიშნა ვესტმინსტერის მთავარეპისკოპოსმა ვინსენტ ნიკოლსმა, – რელიგიური შეხედულებები და საქმიანობა პრივატული სფეროა. პაპს სურდა, რელიგიურ გაერთიანებათა თავისუფლების უსამართლო შეზღუდვისთვის მიექცია ყურადღება. იგი არ ერევა პოლიტიკაში, მაგრამ სურს, რომ მისი აზრი, რომელიც ქრისტიანულ მემკვიდრეობას ეფუძნება, სხვებმაც მოისმინონ“.

იორკის მთავარეპისკოპოსის ჯონ სენტამუს აზრით, ტოლერანტობის სახელით ქვეყნის მთავრობა ცდილობს, განდევნოს რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და მორწმუნეები გეტოში გამოამწყვდიოს. იგი აღნიშნავს, რომ თუკი ლორდთა პალატა ამ კანონპროექტს მიიღებს, ქრისტიანული ეკლესიები დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან.

კიდევ ერთხელ წართმეული ტაძრების პრობლემის შესახებ

ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოს დადგენილებით, რუმინეთის მთავრობა ვალდებულია, გადაუხადოს რუმინეთის ბერძნული წესის კათოლიკეებს კომპენსაცია კომუნისტური რეჟიმის ბატონობის წლებში წართმეული ქონების ასანაზღაურებლად.

ბიზანტიური წესის კათოლიკეებს ღმრთისმსახურება 1948 წელს აეკრძალათ. კონფისკაციის შემდგომ, ქონება მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. აკრძალვა 1990 წლამდე მოქმედებდა.

სასამართლოში სამბატის სამრევლოს სარჩელი განიხილებოდა. რუმინეთის კანონმდებლობის თანახმად, წართმეული ქონება გამოყენებული უნდა იყოს ორივე აღმსარებლობის მიერ, ფლობისა და საკუთრების საკითხები კი უნდა გადაწყდეს კათოლიკურ-მართლმადიდებლური ერთობლივი კომიტეტების მიერ. თუმცა მოსარჩლეთა განცხადებაში ნათქვამია, რომ მართლმადიდებლებმა ისინი არც ტაძარში შეუშვეს, და არც მოლაპარაკებათა გამართვა ისურვეს.

სასამართლოს ვერდიქტის თანახმად, სამბატის სამრევლო დისკრიმინაციას განიცდის ხალისუფლების მხრიდან, რადგან საშუალება არ მიეცა, რუმინეთის სასამართლოში დაემტკიცებინა თავისი უფლება ტაძარზე. ევროპის სასამართლომ ეს ფაქტი ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევად მიიჩნია და რუმინეთის მთავრობას მოსარჩლისთვის 23 000 ევროს გადახდა დააკისრა.

ოფიციალური მონაცემებით, დღეს რუმინეთში 645 000 ბერძნული წესის კათოლიკეა. რუმინეთის მოსახლეობის 87% რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია. მის განკარგულებაში ამჟამად ბერძნული წესის კათოლიკეთა 2000 ტაძარია. 1998 წელს შეიქმნა ერთობლივი მართლმადიდებლურ-კათოლიკური საგანგებო კომისია, რომელსაც საკუთრებაზე დავის საკითხები უნდა გადაეწყვიტა. თუმცა ამ დრომდე უნიატებს მხოლოდ 160 ტაძარი დაუბრუნდათ.

რუსული კულტურის დღეები ვატიკანში

სააგენტო „ინტერფაქს რელიგია“ იტყობინება, რომ უახლოეს მომავალში ვატიკანში რუსული მართლმადიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა სერია გაიმართება. „ახლა მზადდება მოსკოვის საპატრიარქოსა და კათოლიკე ეკლესიის რამდენიმე ერთობლივი პროექტი კულტურის სფეროში. ასე მაგალითად, 2010 წლის გაზაფხულზე ვატიკანში „რუსული სასულიერო კულტურის დღეები“ გაიმართება, – აღნიშნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ ჟურნალ „ექსპერტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. რუსეთის ეკლესიის წინამძღვრის აზრით, ქრისტიანებმა უნდა იპოვონ „ახალი ენა და ახალი გზები ქრისტიანულ ღირებულებათა შესახებ ქადაგებისთვის, მუდამ ცვალებადი სამყაროს თანამედროვე პირობებში, რათა ეს ქადაგება იყოს მოსმენილი და სათანადოდ აღქმული. კულტურა ის სფეროა, სადაც ეკლესიისა და საზოგადოების დიალოგი შეიძლება განსაკუთრებით ეფექტური იყოს. და აქ მე ვხედავ შესაძლებლობას ქრისტიანთა ნაყოფიერი თანამშრომლობისა ტრადიციულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის“. პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, მხედველობაში აქვს რომის კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიების თანამშრომლობა, რადგან მათ „ერთნაირი შეხედულება აქვთ სოციალური და ეკონომიკური ეთიკის, ბიოეთიკის, ოჯახის, პიროვნული ზნეობისა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე“.

მსოფლიოს ათი საუკეთესო ალბომი წმიდა საყდრის ვერსია

კათოლიკე ეკლესია აგრძელებს პოპ-კულტურის ათვისებას. ვატიკანის მასმედიის საშუალებებში ხშირად შეხვდებით რეცენზიებს – დადებითს თუ უარყოფითს – პოპულარულ ფილმებზე, წიგნებზე, მუსიკალურ ალბომებზე. ახლა კი გაზეთმა „L' osservatore Romano“ გამოაქვეყნა ათი საუკეთესო მუსიკალური ალბომის სია, რომელსაც თავადვე „ნახევრად სერიოზულს“ უწოდებს, მაგრამ იმედს გამოთქვამს, რომ იგი უჩვენებს მკითხველს „გზას კარგი მუსიკისაკენ“.

სია ქრონოლოგიური პრინციპითაა შედგენილი და, რა თქმა უნდა, საკმაოდ კონსერვატიულია:

1. The Beatles — „Revolver“;
2. David Crosby — „If I Could Only Remember My Name“;
3. Pink Floyd — „The Dark Side of the Moon“;
4. Fleetwood Mac — „Rumours“;
5. Donald Fagen (Steely Dan) — „The Nightfly“;
6. Michael Jackson — „Thriller“;
7. Paul Simon — „Graceland“;
8. U2 — „Achtung Baby“;
9. Oasis — „(What's the story) Morning Glory“;
10. Carlos Santana — „Supernatural“.

მოამზადა

რუსუდან ავალიშვილმა

ნეტარ ხართ თქვენ, დანო, და ნეტარ ხართ თქვენ, ძმანო, რომლებმაც უფალს უძღვენით თავი

2010 წლის 2 თებერვალს, წმ. მარიამის ზეცად აღყვანების თბილისის კათედრალურ ტაძარში საზეიმოდ აღინიშნა ყრმა იესოს ტაძრად მიყვანების - მირქმის დღესასწაული. 2 თებერვალს ასევე, აღინიშნება ღვთივშეწირულთა – ბერ-მონაზონთა დღეც.

2 თებერვალს მსახურების 25 წელი მიულოცეს მონაზვნებს – ტერეზასა და დავიდას.

კათედრალურ ტაძარში მირქმის დღესასწაული იმითაცა იყო გამორჩეული, რომ ამ დღეს საქართველოს კათოლიკური საკრებულოებიდან აკოლიტად აკურთხეს ცხრა საერო პირი, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ მამა პიერ დიუმულენისა და მამა გაბრიელე ბრაგანტინის ხელმძღვანელობით.

წმიდა წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა. მას ეხმარებოდნენ ამიერკავკასიაში წმიდა საყდრის დესპანი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი და საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლები. წირვას ესწრებოდნენ სხვადასხვა საბერმონაზვნო ორდენების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში ეწევიან თავიანთ მსახურებას.

გთავაზობთ ეპისკოპოსის ქადაგებას.

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი,
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

ძმანო და დანო,

უფალი გვეკითხება: სურს თქვენს შორის ვინმეს ღმრთის სიახლოვეში ცხოვრება? განა შეიძლება, „მე“ ამ ძლიერ და მაცდუნებელ მოწვევას არ ვუპასუხო? ჩვენ კარგად ვიცით, ბედნიერებისა და სიცოცხლის მწველი სურვილი ადამიანურ დნმ-შია (დეენემშია) ჩადებული. თუკი ბედნიერი ცხოვრებისკენ ვისწრაფვით, უნდა ვიცოდეთ, რომ ის ღვთის მიერ არის ამოტვიფრული ჩვენს არსებაში, გულში, ჯერ კიდევ ჩასახვის წამიდანვე.

დღეს მინდა, განვაცხადო: ნეტარ ხართ თქვენ, დანო, და ნეტარ ხართ თქვენ, ძმანო, რომლებმაც უფალს უძღვენით თავი (დღეს ხომ იმიტომ ვზეიმობთ, რომ მათ თანხმობა განაცხადეს თავიანთი ცხოვრების ღვთისთვის მიძღვნაზე!), რამეთუ თქვენ უკვე თქვით: „მე მსურს ეს“. ნეტარ ხართ თქვენ, რომლებმაც არ ჩაკალით თქვენში სავსე და ბედნიერი სიცოცხლის – სრული ბედნიერების – სურვილი და მის შესასრულებლად, უზენაესი სიყვარულის გულისთვის, შეუდექით ერთადერთ ურყევ და უმოკლეს გზას: სიყვარულის გზას, რთულ და ნარეკლიან ბილიკს, სრული თავშეწირვისა და დიდსულოვნების ბილიკს. სწორედ ეს არის თქვენი ღვთივშეწირული ცხოვრების არსი.

სუორა ტერეზა და სუორა დავიდა, სულიერი ცხოვრების ამ 25 წლის მანძილზე განა კონკრეტულად არ გიპოვიათ და არ განგიცდიათ სიყვარული? რასაკვირველია, – სიყვარული ჯვარიცაა. თქვენ ჩვენგან ითხოვთ, რომ ღმერთს ვუთხრათ მადლობა თქვენზე მონიჭებული წყალობის გამო და ამ თხოვნას სიხარულით გისრულებთ.

თქვენ კი, – რომლებმაც თქვენი აღთქმები განაახლეთ, – ხომ არ გაგიჭირდათ კიდევ ერთხელ გეთქვათ: უფალო, მინდა, რომ მთლიანად შენ გეკუთვნოდე? განა არ იგრძენით სიხარული თქვენს გულში ამ სიტყვების წარმოთქმისას?

დიახ, დღეს ყველა მორწმუნე მიხვდება, რომ თქვენი არჩევანი შემდეგს გვასწავლის: ღმერთი ყველამ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. თქვენ, ყველანი, მტკიცე ნიშანი ხართ ჩვენთვის! ეს არის ეკლესიაში ღვთივშეწირულთა ცხოვრების უპირველესი დანიშნულება და ანგარიშს უნდა ვუწევდეთ ამას.

მოდით, დავუბრუნდეთ დღევანდელ ზეიმს – მირქმას. ეს ძველთაძველი დღესასწაულია, რომელიც, ესპანელი მომლოცველის, ეგერიას სარწმუნო

მოწმობით, ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში აღინიშნებოდა იერუსალიმში. დღემდე ამ დღესასწაულს აღნიშნავს არა მხოლოდ კათოლიკე ეკლესია, არამედ ანგლიკანური და მართლმადიდებლური ეკლესიებიც. ახლახანს წაკითხული სახარების პირველივე გვერდებიდან ვიგებთ ამ ლიტურგიული დღესასწაულის არსს: „ხოლო როცა გასრულდა მათი განწმენდის დღეები მოსეს რჯულის მიხედვით, აიყვანეს იგი იერუსალიმს უფლის წინაშე წარსადგენად“ (ლუკ. 2,22).

იმისათვის რომ ღრმად შევიცნოთ დღევანდელი დღის საღმრთო ხასიათი, თავად ევქარისტიული ლიტურგიის სტრუქტურას უნდა გავყვეთ. დღეს ჩვენ ეკლესიაში ცხრა აკოლიტი უნდა ვაკურთხოთ. ეს ჩვენთან პირველი შემთხვევაა, როდესაც დაქორწინებული მამაკაცები აკოლიტები გახდნენ. დღევანდელ ზეიმში ის ხასიათია ჩადებული, რაც ღვთივშეწირულთა ცხოვრებას აკოლიტატთან აკავშირებს, და ეს არის სწორედ „შესაწირავი“. ძღვენის წარდგენის წუთებში, თქვენ, აკოლიტებმა, თქვენ-თქვენს საკრებულოებში უნდა მოამზადოთ საკურთხეველი და შესაწირავი ძღვენი.

მაგრამ, გთხოვთ, გამოიჩინოთ სიფრთხილე: როდესაც წირვაზე დგება ძღვენთა წარდგენის ჟამი, ანუ „შესაწირავი“, პირველი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის არა „შეწირვა“, არამედ ძღვენთა „წარდგენა“. ცელებრანტის მსგავსად, ჩვენ არ წარმოვთქვამთ პურისა და ღვინის შესახებ სიტყვებს: „შემოგწირავთ შენ“, არამედ „წარმოგიდგენთ შენ“. მანამდე კი უნდა გაიაზროთ, რომ თქვენს მიერ წარდგენილი ძღვენი არ არის თქვენი საკუთრება, ის ღვთის წყალობით გვებოძა: „ წყალობითა შენითა მივიღეთ პური ესე,...ღვინო ესე“. ეს მნიშვნელოვანი ასპექტია. ნუ გვეგონება, რომ ჩვენ პირველები ვართ სიყვარულში. იოანე ამბობს: „ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა“, “პირველად მან შეგვიყვარა“ (1იოან. 4,10. 19). ჩვენ ვერაფერს შევწირავდით მას, მისგანვე რომ არ მიგვეღო მადლი. უფალმა გვიბოძა ეს პური და ეს ღვინო; მანვე გვიბოძა ხელები, რათა წარვუდგინოთ მას ძღვენი; გვიბოძა გული, რათა კვლავ მას მივუძღვნათ ის.

აჰა, ჩემო ძვირფასო ღვთივშეწირულნო და აკოლიტნო, პირველი ნაბიჯი რწმენის მომლოცველობაში: მადლიერება, სიყვარულის განცდა. განცდა იმისა, რომ რჩეულნი, კურთხეულნი და მოწოდებულნი ხართ. მადლიერებით სავსე გულით და მოწიწებით აღიარეთ, რომ სიყვარული იმაზე ადრე მიიღეთ, ვიდრე თქვენ ამაგს გასწევდით, და არანაირი საკრედიტო ბარათი არ დაგჭირვებიათ. ამიტომაც ვეუბნებით მას: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო სამყაროსა: შენი წყალობით მივიღეთ ეს პური, ეს ღვინო, ნაყოფი მიწისა და კაცის გარჯისა“. ამ მიზნით ვილოცეთ წმ. წირვისას, რათა „ჩვენც წარვდგეთ უფლის წინაშე“.

ისევ დავუბრუნდები ევქარისტიული ლიტურგიის სტრუქტურას და აღვნიშნავ, რომ მხოლოდ შესაწირავის შემდეგ მივდივართ პურისა და ღვინის საკურთხებლად, რომელიც არ არის და არც შეიძლება იყოს ჩვენი ნამოქმედარი, იგი უსათუოდ და ჭეშმარიტად ღვთიური საქმეა. ჩვენ ისღა შეგვიძლია, რომ წარვუდგინოთ მას პური და ღვინო, ქრისტეს ხორცად და სისხლად ქცეული, მაგრამ ჩვენ თავად ვერ ვაკურთხებთ, ვერ განვწმენდთ რაიმეს ან ვინმეს, და ვერც ჩვენს საკუთარ თავს.

იგივე ხდება საღვთო ცხებულებაში: არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს საკუთარი ცხოვრება თავად გახადოს ღვთისათვის ცხებული, ძირეულად გარდასახოს, რათა ღვთის სამკვიდრო გახდეს. ყველაზე დიდი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ეს არის: წარვუდგინოთ უფალს ჩვენი ფიქრი, ჩვენი ზრახვა, ჩვენი გულისნადები, ჩვენი ძალისხმევა – მოკლედ, მთელი ჩვენი სიცოცხლე, რათა ყოველდღიურად გახდეს უფრო მეტად „ცხებული“, ანუ „კურთხეული“.

ის სიტყვები, რაც ევქარისტიული ლოცვის დროს გაისმის, ყოველ ღვთივშეწირულზე ითქმის: „აიღო პური, განსტეხა და მისცა“. თქვენც ისევე ხართ უფლის მიერ აყვანილი და შეპყრობილი, და ისევე ნაკურთხი, როგორც იყო წმიდა პავლე. თქვენც დანაწევრებული ხართ და ყოველდღიურად ნაწევრდებით, რათა წყალობად ებოძოთ იმ ადამიანებს, ვისაც ემსახურებით. შეწირული ცხოვრება ღვთის სიყვარულის საქმე უფროა, ვიდრე ჩვენი დიდსულოვნებისა.

„ეკუთვნოდე უფალს, ნიშნავს, დაიღვენთო მისი ჩაუქრობელი სიყვარულით, გარდაისახო მისი მშვენიერებით: ჩვენი სიმცირე მას მივუძღვენით, ვითარცა ტკბილი სურნელი;... ეკუთვნოდე ქრისტეს, ნიშნავს, ყოველთვის გენთოს გულში სიყვარულის ნაპერწკალი“. ეკუთვნოდე უფალს, ნიშნავს, ემსგავსო „საკმევლის მარცვლებს, რომლებიც საკურთხევლის წინაშე იწვიან“.

და როგორც წირვაზე ხდება, ეს შეწირვა-გარდასახვა გამიზნულია გასაზიარებლად: „რათა ჩვენთვის იქცეს საუკუნო ცხოვრების საკვებად,... ხსნის სასმისად“. შესაწირავს იმიტომ კი არ წარვუდგენთ ღმერთს, რომ მას

იგი სჭირდება, არც იმიტომ, რომ გაანადგუროს. როგორც პაპი ბენედიქტე შეგვახსენებს: „ღმერთი არაფერს აკლებს და ყველაფერს აძლევს“. პირიქით, ძღვენს იმიტომ წარვუდგენთ, რომ მისმა სიყვარულმა გარდასახოს ის, და ასე დავამყაროთ მასთან კავშირი. ეს არის ღვთივშეწირული ცხოვრების გზა: მიიღო და გასცე; ესაა აკოლიტატის არსიც.... თქვენც იღებთ ევქარისტიას, რათა გასცეთ და გაანაწილოთ. ეს კი ყველა ქრისტიანის ცხოვრების არსია: ჩვენ გვებოძა სიცოცხლე და უნდა გავცეთ იგი, თუკი გვინდა, წყალობად იქცეს;...თუკი ჩვენთვის შევინახავთ,...იგი უნაყოფოდ მოკვდება,...სამარხი იქნება, სადაც გაიხრწნება.

ვიდრე დავასრულებდე, ნება მიბოძეთ, გამოვხატო ეპისკოპოსის და მთელი ადგილობრივი ეკლესიის მადლიერება თქვენდამი, ჩემო საყვარელო ღვთივშეწირულო ძმანო და დანო, იმისთვის რომ არსებობთ და ხართ ჩვენს გვერდით; ცხადია, მადლობას იმსახურებთ, რადგანაც თქვენ ძალიან ბევრ და კეთილ საქმეებს აკეთებთ. მაგრამ თქვენს „საქმეებზე“ წინ თქვენი „არსებობაა“, არსებობა-ნიშანი ღვთის სამეფოს უზენაესობისა, ნიშანი ყოველივეზე აღმატებულისა და იმქვეყნიურობაზე მისი ბატონობისა, ნიშანი ყველაზე უსუსური შვილის მიმართ მისი „სისუსტისა“. ღვთივშეწირულ ცხოვრებაში არსებობა წინ უსწრებს კეთებას, რაც გაჭირვებულთა მიმართ კონკრეტული საქმეებით

სრულდება. თუკი ოდესმე გვექნება ჩაკეტილი მონასტერი, უკეთ გავიგებთ, რამდენად ჭეშმარიტია, რომ „არსებობა“ „კეთებაზე“ წინ დგას.

მადლობას გიძღვნით თქვენც, საყვარელო აკოლიტნო, დაუბრუნდით თქვენს სამრევლოებს, იყავით ნიშანი ზიარებისა და განვლეთ თქვენი ცხოვრება უფლისადმი მიძღვნილ მსახურებაში.

მინდა, საუბარი დავასრულო ღმრთისადმი ძღვენის შეწირვის ლოცვით, რომელიც შთაგონებულია იესოს ტაძრად მიყვანის მსგავსი მოკრძალებული სულით და ზუსტად შეესატყვისება თქვენს ხელახალ წარდგენას მამა ღმერთის წინაშე: „მიიღე უფალო, ჩვენი ძღვენი ამ საიდუმლო შეხვედრაზე, ჩვენს სიღარიბესა და ჩვენს სიდიადეში. ჩვენ შემოგწირავთ მას, რაც შენ თავად გვიბოძე, შენ კი სანაცვლოდ საკუთარ თავს გვიძღვნი. ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა, შეწირულ ქალწულთან, მარიამთან, შენსა და ჩვენს დედასთან ერთად. ამენ“.

სნეულთა დღე წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში

როგორც ვიცით, ლურდის ღვთისმშობლის დღესასწაული და მასთან დაკავშირებული სნეულთა დღე 11 თებერვალს აღინიშნება.

ყველასთვის ცნობილია, რა მოხდა 150 წლის წინ საფრანგეთის ერთ პატარა სოფელში და საიდან იღებს სათავეს ეს დღესასწაული, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ.

ეპისკოპოსის ნებართვით, წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში სნეულთა დღე, ხუთშაბათის ნაცვლად (11 თებერვალი ხუთშაბათი დღე იყო), კვირას აღინიშნა, რათა უფრო მეტ ავადმყოფს ჰქონოდა შესაძლებლობა ზეთისცხების საიდუმლოში მონაწილეობისა.

წირვა მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯმა აღავლინა. როგორც ყოველთვის, შთამბეჭდავი იყო მამა ივან მარტინის ქადაგება: „ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე, იგი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ჩვენს მოვალეობას, რომ ყველა ქრისტიანის ვალია, იზრუნოს ავადმყოფებზე, რომ „ავადმყოფი ქრისტეს თვალისჩინია“, და ჩვენც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შევუმსუბუქოთ მათ მდგომარეობა. სნეულნი ყოველთვის უნდა გრძნობდნენ, რომ ღმერთს ახსოვს და უყვარს ისინი.

დღევანდელი სახარებაც განსაკუთრებულია: „მოვიდნენ, რომ მისთვის მოესმინათ და თავიანთი სნეულებებისგან განკურნებებულიყვნენ – უწმიდური სულით გატანჯულნიც – და იკურნებოდნენ. მთელი ხალხი ცდილობდა, შეხებოდა მას, ვინაიდან მისგან გამოდიოდა ძალა და ყველას კურნავდა“ (ლუკ. 6, 18-19). ეს არის სრულყოფილების გზა. ამ გზის მეშვეობით ღმერთი და კაცი ერთმანეთთან ამყარებენ კავშირს.

ფიქრობენ, რომ ავადმყოფებს ზეთისცხება ეძლევათ სიკვდილის წინ. ეს არასწორია. ავადმყოფს ეშინია, მღვდელი იმიტომ მოვიდა, რომ ვკვდებიო. მღვდელი კი იმიტომ მიდის ავადმყოფთან, რომ დაეხმაროს მას გამოჯანსაღებაში. ბოლოს მ. ნინომ მორწმუნეებს განუმარტა, რომ ზეთისცხების საიდუმლო შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ მძიმე ავადმყოფებმა და მოხუცებმა“.

მართალია, უამინდობის გამო ბევრმა მოხუცმა და ავადმყოფმა ვერ შეძლო მოსვლა, მაგრამ ვინც ზეთისცხების საიდუმლო მიიღო, უეჭველია, გამოჯანმრთელების დიდი იმედი ჩაესახა გულში; ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქალწული მარიამი შეისმენს მათ ლოცვა-ვედრებას და დაუბრუნებს სულისა და სხეულის სიჯანსაღეს.

ნადია ჩიტაძე

როგორი უნდა იყოს მღვდელი?

კატეხიზმო გვასწავლის, რომ მღვდლობა საეკლესიო საიდუმლოებაა, რომლის წყალობითაც ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის მინდობილი მისია გრძელდება ეკლესიაში ჟამთასვლის დასასრულამდე. წლევანდელი ლიტურგიული წელი მისი უწმიდესობის, პაპ ბენედიქტე XVI-ის მიერ სამღვდელო წლად არის გამოცხადებული. მღვდელმსახური სიხარულის ადამიანია, როგორც წმ. პავლე აცხადებს, "სხვათა სიხარულის ხელშემწყობი".

საქართველოში, ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში, მღვდლები იყვნენ ერის სულიერი მამები, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის ცხოვრებაში. მათ შორის გამორჩეული ადგილი ეკავათ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც, XIII საუკუნიდან მოყოლებული, აქტიურ სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ საქართველოში. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, ისინი ზრუნავდნენ მოსახლეობის ქრისტიანულ სულიერებაზე, უმსუბუქებდნენ მათ დუხჭირ ცხოვრებას, მკურნალობდნენ, შეჰქონდათ ხალხში განათლება. ცნობილია, რომ მათი მეცადინეობით დასავლეთ საქართველოში მოისპო ჩვილთა მკვლელობის, ადამიანებით ვაჭრობის სამარცხვინო სენი, რომელიც ქართულ გენს განადგურებას უქადდა. მისიონერმა მღვდელმსახურებმა აღადგინეს და შეასწორეს საეკლესიო მსახურების ის წესები, რომლებიც, მტერთა განუწყვეტელი შემოსევების გამო, დავიწყებული ან დამახინჯებული იყო. ქართველი ხალხი ენდობოდა და დიდი პატივით ეპყრობოდა მათ.

ევროპელ მისიონერთა კეთილი საქმენი შემდგომში ევროპის კათოლიკურ მონასტრებსა და სასწავლებლებში აღზრდილმა ქართველმა კათოლიკე მღვდლებმა გააგრძელეს. ისინი თავდადებით იღვწოდნენ, რათა სამშობლოში არ ჩამქრალიყო ქრისტიანული სულიერება. რთული იყო მათი მოღვაწეობის პერიოდი, განსაკუთრებით საბჭოურ ხანაში. მათ უღმერთოთა მხრიდან განიცადეს ძალმომრეობა და სისასტიკე, ხშირად მათი სიცოცხლე იფერფლებოდა შავბნელ ძალებთან უთანასწორო ჭიდილში, მაგრამ მათ მიერ გაღებული მსხვერპლი, ღვაწლი განამტკიცებდა მორწმუნეთა გულებს, მათი სული კი, საკმევლის კეთილსურნელოვანი ბოლის მსგავსად, ზეცისაკენ მიემართებოდა.

მამა ანსელმო მღებრიშვილი და მამა გაბრიელ ასლანიშვილი ის მღვდლები არიან, რომელთაც ბათუმელი კათოლიკეები უმადლიან ბათუმში ლათინური წესის კათოლიკური საკრებულოს დაარსებას, ღვთისმშობლის ეკლესიის აშენებას, მორწმუნეთა გამრავლებასა და რწმენის განმტკიცებას.

როგორი უნდა იყოს მღვდელი? ვფიქრობ, მღვდელი უნდა ჰგავდეს მწყემსს, მასავით უნდა ეძებდეს გზააბნეულებს, ცდილობდეს, შეიცნოს თითოეული მათგანი, მოუსმინოს მათ, ძალუძდეს სხვათა, ახლობელთა თუ შორეულთა, მორწმუნეთა თუ ურწმუნოთა სიხარულისა და ტანჯვის გაზიარება. ის ყოველთვის მზად უნდა იყოს აღსარების მისაღებად, იყოს სიმართლისმოყვარე.

წმ. გასპარე ბერტონის ცხოვრება და მოღვაწეობა მღვდლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ის იყო მღვდელმსახური, რომელმაც ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა "არაჩვეულებრივად". ახალგაზრდა დანიელ კამბონს იგი ასე მიმართავს: "არანაირი სინაზე არ უნდა ჰქონდეს მას, ვინც შემოსილია ჯვარცმული იესოთი. მღვდლის სამოსი არ უნდა იყოს ელეგანტური მოსასხამი პირადი კეთილდღეობისათვის". დონ გასპარეს შთაგონებით, კამბონმა ჩამოაყალიბა კონგრეგაცია და დაიწყო მისიონერული მოღვაწეობა.

ჩვენი მოძღვარი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი ერთ-ერთი იმ მღვდელმსახურთაგანია, რომელმაც მისიონერული მოღვაწეობის სურვილი გამოთქვა და ჩამოვიდა საქართველოში, პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, სადაც 70 წლის მანძილზე თითქმის მთლიანად აკრძალული იყო კათოლიკური ღვთისმსახურება. დასამალი არაა, რომ კათოლიკების უმრავლესობა ტრადიციული კათოლიკეები ვიყავით, მონათლულნი კათოლიკე მღვდლის მიერ და ვიცოდით ბებია-ბაბუის მიერ ნასწავლი რამდენიმე ლოცვა, ვამაყობდით ჩვენი კათოლიკობით და გვიხაროდა, როდესაც პაპი დღესასწაულებს მშობლიურ ენაზე გვილოცავდა. ჩვენ ვგრძნობდით, რომ არ ვიყავით დავიწყებულნი. ეს მილოცვები ათბობდა ჩვენს გულებს.მამა გაბრიელემ შეგვკრიბა ბათუმელი კათოლიკეები, შეგვასწავლა ჭეშმარიტი სარწმუნოება, ჩამოაყალიბა საკრებულო. იგი შეგვიძღვა ბიბლიის უკიდეგანო სივრცეში და დღემდე ამდიდრებს ჩვენს სულებს მასში ჩადებული სიბრძნით. უკვე თხუთმეტი წელია, რაც მამა გაბრიელე დარსა თუ ავდარში ჩამოდის ბათუმში, რადგან აქ ეგულება თავისი სულიერი შვილები. სწორედ მისი კატეხიზაციების საშუალებით ჩამოვყალიბდით მორწმუნე კათოლიკე-ქრისტიანებად. შევიცანით ღვთის სიტყვა, უფლის ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარული, შევიცანით იესო და გულის კარი გავუღეთ მას.

ჩვენს ცნობიერებაში მღვდელი ის მღვდელმსახურია, რომელიც არა მხოლოდ წირვას აღასრულებს და ზიარებას გასცემს, არამედ თითოეული მორწმუნის მეგობარი და დამრიგებელია. იგი გვასწავლის სათნოებას, მეგობრობასა და ქრისტიანულ სიყვარულს, ავადმყოფთა, ღატაკთა და ტანჯულთა თანადგომას, სიმართლისა და სამართლიანობისათვის ბრძოლას და ყოველივე ამას გვასწავლის არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საკუთარი ცხოვრების მაგალითით.

ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი მღვდლებისთვის და ღმერთს შევთხოვთ, რომ სულიწმიდა მუდამ იყოს მათთან.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი
ბათუმი

საარქივო მასალებიდან

როდესაც ვახტანგ მეფე რუსეთში იმყოფებოდა, მან დეპუტაცია გააგზავნა პოლონეთში მეფესთან და სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად წაიღეს საქართველოში მოღვაწე პატრების მიერ პოლონურ ენაზე დაწერილი წერილი, სადაც პოლონეთის მეფეს სთხოვდნენ საქართველოსთან კავშირის დამყარებას. დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს პოლონელ მოგზაურ მოძღვარს, იეზუიტ კრუზინსკის. მან მრავალჯერ ნახა ქართველი ბატონიშვილები საქართველოსა თუ სპარსეთში და ბევრი დარიგებაც მისცა მათ, საქართველოს სასარგებლოდ.

ჩამოყალიბდა კათოლიკეთა მტკიცე "ძმობა", რომლებიც საქართველოში მცხოვრებ გაჭირვებულ კათოლიკეებს მატერიალურად ეხმარებოდნენ, განსაკუთრებით დევნილობის დროს. ამ დროს გორში რამდენიმე ოჯახი გახდა კათოლიკე. ზუბალაშვილებიც ამ დროს გახდნენ კათოლიკეები. ამ გვარის ერთი წარმომადგენელი გორის პატრებთან აღზრდილა, მწიგნობარი გახდა და ისე გაითქვა სახელი, რომ მეფე ერეკლემ მას ჯეროვანი პატივი მიაგო.

მაშინ ოსები არაფერ სჯულს არ აღიარებდნენ. მათში ქრისტიანობა ძველადვე დაეცა. მათზე ოსმალებს ეჭირათ თვალი. გორის ეკლესიის კათოლიკე პატრები დიდად სწუხდნენ ოსებში ქრისტიანობის აღმოფხვრას და მაჰმადიანობის გავრცელებას. მათ უნდოდათ ოსებში კათოლიკობის გავრცელება. მაგრამ პატრებმა ეს ვერ მოახერხეს, რადგან რომის ტახტი მაშინ შინაური საქმეებით იყო დაკავებული. ოსები დარჩნენ უპატრონოდ. იქ მაჰმადიანობა აღორძინდა, ხოლო ზოგგან ოსები თხის თავს სცემდნენ თაყვანს. კათოლიკე მამებმა მათთან ას კაცამდე მაინც გააქრისტიანეს და ამათი უდიდესი ნაწილი ცხინვალში გადავიდა საცხოვრებლად. ცხინვალში მყოფ ქართველ კათოლიკეებს რუსეთის მთავრობაც მოესწრო, ამ ცნობებს მცირედ კავკასიის აქტებშიც უკავიათ ადგილი.

თბილისის და გორის პატრებთაგან მრავალი ქართველი ყმაწვილი იქნა აღზრდილი და განვითარებული. მათ შორის ყოფილა ივანე ორბელიანი, დიდი მოყვარული მეცნიერებისა. მან თარგმნა ლათინურიდან "წიგნი სარწმუნოებისა", სადაც პატივი სცა რომის ეკლესიას და პაპს. პატრებმა აღზარდეს სარიდონ ჩოლოყაშვილი, რომელმაც შემდეგ ქართულ ენაზე თარგმნა "დიდი არითმეტიკა", თავისი ფიგურებით. ამავე დროს ითარგმნა ლათინურიდან "ცის ქმნილების წიგნი, ვარსკვლავთა, ზოდთა, პლანეტათა, სადაც მრავალი ფიგურა არის დასახული". პაატა ბატონიშვილის აღზრდაც მათ მიეწერებათ.

პატრების დახმარებით თბილისის სომეხ მოქალაქეთა ბევრი შვილი ევროპაში გავიდნენ სასწავლებლად. ზოგმა ხელობა და ცოდნაც შეიძინა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მათ ეს ცოდნა თბილისში მოიტანეს. ჩვენ აქ ასეთ პირებს ყველას ვერ დავასახელებთ.

პატრებმა თარგმნეს წიგნები სამხედრო და სახელოსნო მეცნიერებათა შესახებ, რომლებიც გავრცელდა საქართველოს მწიგნობართა შორის.

საქართველო მე-17 საუკუნის შემდეგ პატრებით გაივსო. თვით ქართველი ალ. ცაგარელიც კი სწერს, რომ პატრები უანგაროდ ასწავლიდნენ ქართველთა შვილებსო. სომეხი ისტორიკოს-არქეოლოგი ალ. ერიცოვი ამბობს: საქართველოში პატრებს დიდი სარგებლობა მოჰქონდათ, ევროპული მეცნიერება მათ შემოიტანეს საქართველოში, ბატონიშვილები და მწერლები ამათი მომზადებული არიანო. თვით პატრებსაც ქართველების სწავლა-განათლება დიდად უნდოდათ. სწორედ პატრებმა გახსნეს რომში ქართული სტამბა და წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს.

(წიგნიდან: პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი. მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში. თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა.

თქვენი აზრი „საბას“ შესახებ

ერთი დღე „საბას“ მკითხველებთან

„საბას“ თებერვლის ნომრის გამოსვლის შემდეგ, ახალციხის საკრებულოში შევიკრიბეთ მრევლის წევრები და მოვაწყვეთ მისი განხილვა.

როგორც მკითხველებმა აღნიშნეს, ბოლო ხანებში შეიცვალა ჟურნალის დიზაინი, უფრო გალამაზდა მისი თავფურცელი, გარეკანის გვერდები; სურათებიც უფრო მკაფიოა; ეტყობა, რომ ჟურნალის რედაქცია მეტი მონდომებით მუშაობს; სისტემატურად შუქდება წერილები თითოეული საკრებულოს საქმიანობის შესახებ, რის საშუალებითაც ვგებულობთ ყოველი საკრებულოს პრობლემებს. მკითხველთა მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდულმა გვერდმა. შეკრებილებმა იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში ჩვენს საკრებულოსაც დაეთმობა გვერდი.

მეტად საინტერესო იყო „საბას“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ნუგზარ ბარდაველიძის სტატია - „საქართველოს სიძლიერე მის მრავალფეროვნებაშია“, რომელიც წმ. მარიამის ზეცად აღყვანების თბილისის კათედრალში აღვლენილი საშობაო წირვისა და საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის სტუმრობის შესახებ მოგვითხრობდა.

აღსანიშნავია, რომ მამა გაბრიელე ბრაგანტინისა და ბატონ ნუგზარ ბარდაველიძის წერილები ყოველთვის საინტერესო და ბევრისმთქმელია.

ჩვენი საკრებულო ცდილობს, რომ ჟურნალმა ყველა მკითხველამდე მიაღწიოს. ისეთებს, რომლებიც ეკლესიაში ვერ დადიან ავადმყოფობისა თუ მოხუცებულობის გამო, სახლში ვაწვდით „საბას“ ყოველ ახალ ნომერს. 74 წლის გიორგი მაისურაძემ საუბარში მითხრა: „ძალიან მიყვარს „საბა“. მიუხედავად იმისა, რომ მე კითხვა არ შემიძლია მხედველობის სისუსტის გამო, მაინც თითქმის ყველა წერილის შინაარსი ვიცი, რადგანაც ჩემი მეუღლე მიკითხავს ხოლმე. ვცდილობ, არც ერთი წერილი არ დარჩეს წაუკითხავი“. ბატონმა გიორგიმ ასევე აღნიშნა, რომ „კარგი იქნება, თუ "საბაში“ ხშირად გამოქვეყნდება წერილები ძირძველ კათოლიკეებზე, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მათზე, რომლებიც თავდაუზოგავად იღვწოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, კათოლიკური რწმენის შესანარჩუნებლად“.

აქტიურმა მკითხველმა ლ. მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ, სხვა გაზეთების მსგავსად, „საბაშიც“ დაეთმობა ადგილი კულინარიას; შ. დიდიმამიშვილის აზრით კი - სპორტს.

ჩვენ, ახალციხის საკრებულოს წევრები, ვეცდებით, რომ დროულად მივაწოდოთ „საბას“ რედაქციას წერილები და სიახლეები ჩვენი ეკლესიისა და მისი წევრების შესახებ. ასევე ვეცდებით, რომ ჟურნალი დროულად მივიდეს მკითხველამდე. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უსასყიდლოდ გადავცეთ ჟურნალი მათ, რომელთაც მისი შეძენა არ შეუძლიათ.

ელზა ზუბაშვილი

ახალციხე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. «საბა» 2008წ. №11—2010წ. №1

54. *იესო ქრისტე გვიცხადებს, რომ «ღმერთი სიყვარულია»* (1 იოან. 4, 8) *და გვასწავლის რომ «ძირითადი რჯული ადამიანური სრულყოფილებისა, და ამდენად სამყაროს გარდაქმნისა, არის სიყვარულის ახალი მცნება.* ამგვარად არწმუნებს იგი ყველა იმათ, ვისაც ღმრთაებრივი სიყვარულისა სწამს, რომ სიყვარულის გზა ღიაა ყველა ადამიანისათვის და რომ ძმობის განსახორციელებელი ძალისხმევა არაა ფუჭი».[66] ამგვარი რჯული მოხმობილია გახდეს ადამიანურ ურთიერთობათა ყოველგვარი დინამიკის საბოლოო საზომი და წესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იგივე ღმრთის საიდუმლოა, სამებისეული საიდუმლო, რომელიც საფუძველს უქმნის პიროვნების, სოციალურობისა და ამსოფლად ადამიანის მოქმედების მნიშვნელობასა და ფასეულობას, იმდენად, რამდენადაც ის გამოეცხადა და ეწილადა კაცობრიობას იესო ქრისტეს მიერ, მის სულში.

55. *მსოფლიოს გარდაქმნა ჩვენი დროისთვისაც მთავარ ამოცანად წარმოგვიდგება. ამ მოთხოვნას ეკლესიის სოციალური მოძღვრება სთავაზობს პასუხებს, რომელთანაც ჯამთა ნიშნებს მივყავართ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ურთიერთ სიყვარულში, ღმრთის მზერის ქვეშ, პიროვნულ და სოციალურ დონეზე ცვლილების ყველაზე ძლიერი საშუალების მითითებით.* ურთიერთ სიყვარული, მართლაც, ღმრთის უსაზღვრო სიყვარულში მონაწილეობით, კაცობრიობის ნამდვილი მიზანია, – ისტორიული და ტრანსცენდენტული. ამიტომაც, «მიწიერი პროგრესი, მიუხედავად იმისა, რომ ის მზრუნველობით უნდა განირჩეს ქრისტეს სასუფევლის ზრდისაგან, დიდი მნიშვნელობისაა ღმრთის სასუფევლისათვის, იმდენად, რამდენადაც ძალუძს წვლილი შეიტანოს ადამიანთა საზოგადოების უკეთ მოწყობაში».[67]

გ) ახალი ცანი და ახალი მიწა

56. *ღმრთის დანაპირები და იესო ქრისტეს აღდგომა აღძრავს ქრისტიანებში საფუძვლიან იმედს, რომ ყველა ადამიანური პიროვნებისათვის გამზადებულია ახალი და მარადიული საცხოვრისი, მიწა, რომელზეც მკვიდრობს სამართლიანობა* (შდრ. *2 კორ.* 5, 1–2; *2 პეტრ.* 3, 13): «მაშინ, დამარცხდება სიკვდილი და ღმრთის ძენი აღდგენილნი იქნებიან ქრისტეში, და ის, რაც უძლური და ხრწნადი დაითესა შეიმოსება უხრწნელობით; და, დარჩება სიყვარული და მისი ნამოქმედარი, გათავისუფლებულ იქნება ამაოების მონობისაგან მთელი ქმნილება, რომელიც ღმერთმა შექმნა ადამიანისათვის».[68] ეს იმედი, არამხოლოდ არ უნდა ასუსტებდეს, არამედ უნდა უბიძგებდეს ამქვეყნიურ რეალობებთან დაკავშირებულ შრომას.

57. *იმგვარი სიკეთენი, როგორებიცაა ადამიანის ღირსება, ძმობა და თავისუფლება, ბუნებისა და ჩვენი შრომის ყველა კეთილი ნაყოფი, მოფენილი დედამიწაზე უფლის სულში და მისი მცნების თანახმად, განწმედილი ყოველი ლაქისაგან, განათლებული და გარდაქმნილი, ეკუთვნის ჭეშმარიტებისა და სიცოცხლის, სიწმიდისა და მადლის, სამართლიანობის, სიყვარულისა და მშვიდობის სასუფეველს, რომელსაც ქრისტე გადასცემს მამას და სადაც ჩვენ მათ ხელახლა ვპოვებთ.* მაშინ ყველასათვის გაიჟღერებს ჭეშმარიტების მთელ რიხით, ქრისტეს სიტყვები: «მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი. ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომინახულეთ, საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ. [...] ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ» (*მათ.* 25, 34–36.40).

58. *ადამიანური პიროვნების სრული რეალიზება, მიღწეული ქრისტეში სულის ნიჭის წყალობით, მწიფდება ისტორიაში პიროვნების სხვა პიროვნებებთან ურთიერთობის საშუალებით: ურთიერთობანი, რომლებიც თავისი მხრივ აღწევს სრულყოფას სამართლიანობასა და მშვიდობაში მსოფლიოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევის წყალობით.* ადამიანის მოქმედება ისტორიაში თავის თავად უკვე მნიშვნელოვანი და ეფექტურია სასუფევლის საბოლოო დადგომისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უკანასკნელი რჩება სრულებით ტრანსცენდენტულ ღმრთის ნიჭად. ამგვარი ქმედება, როცა პატივსა სცემს ამქვეყნიური სინამდვილის ობიექტურ წესრიგს და ნათელფენილია ჭეშმარიტებითა და სიყვარულით, იქცევა იარაღად სამართლიანობისა და მშვიდობის სულ უფრო სავსე და სრული განხორციელებისათვის და აწმყოში გადმოაქვს დაპირებული სასუფეველი.

66 ვატიკანის II კრება, სამწყ. კონსტ. *Gaudium et spes*, 38: AAS 58 (1966) 1055-1056.

67 ვატიკანის II კრება, სამწყ. კონსტ. *Gaudium et spes*, 39: AAS 58 (1966) 1057.

68 ვატიკანის II კრება, სამწყ. კონსტ. *Gaudium et spes*, 39: AAS 58 (1966) 1057.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არ დავივიწყოთ საკუთარი ფესვები

მიგრაცია, ემიგრაცია: ეს სიტყვები დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, აღარავისთვისაა უცხო. ბოლო ხანებში ემიგრაციის თემა სატელევიზიო, საზოგადოებრივი და გლობალური განხილვის საგნადაც იქცა.

რას ნიშნავს სიტყვა „ემიგრანტი?“ ემიგრანტი პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს კონკრეტულ პიროვნებას ან ოჯახს, რომელიც თავისი სამშობლოდან მოშორებით, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს. ემიგრანტი – ამ სიტყვის განმარტება სხვადასხვანაირადაა შესაძლებელი. ჩემი აზრით, თუ თვალს გადავავლებთ ადამიანის მიწიერ ცხოვრებას, და იმ „წუთიერ“ მისიას, რომელსაც ადამიანი თავის სიცოცხლეში ახორციელებს დედამიწაზე, ადვილად მივიღებთ პასუხს და უმალვე მივხვდებით, რომ ჩვენ, ყველანი, ამ წუთისოფლად მოსულნი, ემიგრანტები ვართ.

მიგრაცია, ემიგრაცია – ეს ახალი მოვლენა როდია! ანუ ერთა, ხალხთა მიმოსვლა ოდითგანვე არსებობდა. ალბათ, პირველი ემიგრანტები იყვნენ ტყვე მონები, რომლებსაც ყიდდნენ უცხო ქვეყნებში.

დღეს, როდესაც ინტერნეტი, ტელე-რადიო, საინფორმაციო თუ სატრანსპორტო საშუალებები თავისი განვითარების პიკს აღწევენ, ადამიანს უფრო უადვილდება გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში. ხალხთა მიგრაციის მრავალ მიზეზთა შორის მთავარი და ძირითადი მაინც ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობაა.

მაგრამ რა არის მიზეზი საქართველოს მოქალაქეების ასეთი ხშირი მიგრაციისა? ნუთუ საქართველოში მცხოვრები ადამიანები, განურჩევლად ეროვნებისა თუ რელიგიისა, ის ხალხი არ არის, რომელთათვისაც სამშობლოდან შორს ყოფნა დიდი ტკივილისა და აუტანელი ნოსტალგიის ტოლფასია? დიახ, ეს ასეა, ასე იყო და ასეც დარჩება, მაგრამ დღესდღეობით საქართველოდან მისი მოქალაქეების ასეთი მოჭარბებული მიგრაცია ბევრი რამითაა გამოწვეული, უპირველეს ყოვლისა, შიდა გეოპოლიტიკური (იძულებით გადადგილებული პირები, ანუ ლტოლვილები) და მძიმე ეკონომიკური (უმუშევრობა) პირობების გამო. გარდა ამისა, არსებობს კიდევ სხვა მრავალი მიზეზი: რელიგიური დევნა, უცხოელზე ქორწინება და სხვ.

„სამი შვილი დატოვა დედამ და სამუშაოდ უცხოეთში წავიდაო“, – ამის გაგონება დღეს უკვე აღარავის უკვირს. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ არა მონატრებაზე, ნოსტალგიაზე, არამედ თვითგადარჩენის ინსტინქტზე. მშობლებისთვის იოლი როდია ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ შვილისა და საყვარელი ადამიანების საკეთილდღეოდ თავის გაწირვა ხომ ყველაზე დიდი სიყვარულია.

სულ მალე სამი წელი შესრულდება, რაც იტალიაში ვცხოვრობ, კერძოდ კი, ვერონაში, მარადიული სიყვარულის ქალაქში. ეს არის ქალაქი თავისი ულამაზესი არქიტექტურით, ისტორიითა და, რაც მთავარია, სტუმართმოყვარე, გულღია ხალხით, ქალაქი, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს არ წყდება ტურისტთა ნაკადი. ერთხელ თუ მაინც მოინახულებ ვერონას, თავს ისე შეგაყვარებს, რომ დაგამახსოვრდება, როგორც შენი პირველი სიყვარული.

ჩემს გარდა, აქ კიდევ არიან ქართველები, სულ ოცდახუთი-ოცდაათი ოჯახი.

როგორ გრძნობს თავს ემიგრანტი? საზღვარგარეთ სხვადასხვა მიზნით მიდიან: ზოგი სასწავლებლად, ზოგი სამუშაოდ, ზოგიც იღბლის საძებნელად.

მარცხნიდან: ინგა ილურიძე, ნუმრუდ ფამოევი და ლევან შიხაშვილი (ვერონაში)

საკუთარი გამოცდილებიდან ვიტყოდი, რომ უცხო ქვეყანაში ჩასულ ადამიანს მრავალი პრობლემის გადალახვა უწევს; მათ შორის, სამ მნიშვნელოვან პუნქტს გამოვყოფდი, ესენია: ენის, მენტალიტეტისა და კულტურათა სხვაობით გამოწვეული პრობლემები. არცთუ ისე ადვილია ამ სამი პრობლემის დაძლევა, მაგრამ თუ ამ ყველაფერს გადალახავ, მაშინ ჩათვალე, რომ უკვე მყარად დგახარ უცხო მიწაზე, მაგრამ ეს არაა საკმარისი. არსებობს ყოველდღიური მრავალი საზრუნავი (ბინით უზრუნველყოფა, საბუთების მოწესრიგება, სამუშაოს მონახვა). ამიტომ, სანამ გადაწყვეტ წასვლას შენი ქვეყნიდან, ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონო და დარწმუნდე შენი თავის შესაძლებლობებში, ვინაიდან თუ მარტო მიდიხარ, იქ შენ იქნები შენი თავის დედაც, მამაც, ძმაც და დაც; იქ შენ ხარ შენი თავის პატრონი. მრავალმა ემიგრანტმა, თავისი ოჯახითურთ, უცხო ქვეყანაში გზა გაიკვალა, ზოგმა ეს შესაძლებლობა თავისსავე საზიანოდ გამოიყენა და ცუდადაც დაასრულა.

მართლაც, უცხო ქვეყანაში ყოფნის პირველ წელს მრავალ სირთულესთან გიწევს გამკლავება, თითქოს ახალფეხადგმული ბავშვივით ხარ. მაგრამ ეს ყველა ემიგრანტის გასავლელი გზაა. ცხოვრებაში სიძნელეებს ყველგან ხვდები, სადაც არ უნდა იყო, შინ თუ გარეთ, მაგრამ არ არსებობს ისეთი სიძნელე, რომელიც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება.

დგება მომენტი, როდესაც იტყვი: მორჩა, აღარ შემიძლია, აღარაფერი მეშველება; არის შემთხვევები, როდესაც ემოციები ჭარბობენ გონებაზე, და ზუსტად მაშინ გმართებს გონების ყველაზე მეტად კონცენტრირება; არის მომენტი, როდესაც იმედს კარგავ და სასოწარკვეთილებაში ვარდები, და სწორედ მაშინ გჭირდება რწმენა, რადგან ის გეხმარება მრავალი პრობლემის დაძლევაში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვერონაში არცთუ ისე ბევრი ქართველი ცხოვრობს, და კიდევ უფრო ცოტანი ვართ ჩვენ, რომლებიც ჯერ კიდევ თბილისის, ან საქართველოს სხვა ქალაქების კათოლიკური ეკლესიებიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მიუხედავად იმისა რომ ყველანი ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, არცთუ ისე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, დროის უკმარისობისა თუ სხვა მიზეზთა გამო. მაგრამ მაინც ვახერხებთ შეხვედრას, რაც დიდ ზეიმად გადაიქცევა ხოლმე.

საზღვარგარეთ ცხოვრებისას ძალიან მნიშვნელოვანია, მოახდინო ადაპტაცია, გაეცნო იმ ქვეყნის ხალხთა წეს-ჩვეულებებს, კულტურასა და ცხოვრების სტილს, სადაც იმყოფები, რაც მთავარია, შეიძინო მათი დადებითი თვისებები, გაითვალისწინო უცხოელ მეგობართა რჩევა, იცხოვრო ღირსეულად და პატიოსნად (რასაც იქ დიდი ყურადღება ექცევა). რაც მთავარია, არ დაივიწყო შენი ფესვები, შენი ისტორია და კულტურული ფასეულობები. როგორც ნამდვილ ქართველებს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი ილიას სიტყვები: „ენა, მამული, სარწმუნოება”.

ერთი დიდი გამოცდილება, რაც ვერონაში ცხოვრებისას მივიღე, ისაა, რომ რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმყოფებოდე, მათ მოსახლეობას ვერაფრით გააოცებ, თუ არა შენი კულტურითა და ზრდილობით.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველო გამთლიანდება, გაბრწყინდება და მას ყველა თავისი შვილი დაუბრუნდება.

ლევან შიხაშვილი

ნინა ყაუხჩიშვილი

2010 წლის 4 იანვარს, გამთენიისას, ქ. მილანში გარდაიცვალა ნინა ყაუხჩიშვილი; იგი 1919 წლის 20 აგვისტოს დაიბადა. ამ ქალბატონმა ლამის მთელი ერთი საუკუნე განვლო, რომელიც საშინელი მოვლენებით იყო დატვირთული: საბჭოური რევოლუცია და ნაციზმი. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა სკაუტიზმში; იყო ფრიად განათლებული, მილანის, ტურინის, ბარის და ბოლოს ბერგამოს უნივერსიტეტების საერთაშორისო აღიარების ენათმცოდნე და ლიტერატორი, რუსული ენის განხრით. ამასთან დაკავშირებით, ვაქვეყნებთ ინტერვიუს, რომელიც მილანის ეპარქიის ყოველთვიურ ჟურნალ „IL segno"-ში გამოქვეყნდა.

წმიდა საყდრის ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ, 6 იანვრის წირვაზე აუწყა დამსწრეთ მისი გარდაცვალების ფაქტი. მანვე აღნიშნა, რომ იგი „იყო ქალბატონი, რომლის წინაშეც ვალში ვართ, რადგანაც ის ყოველთვის აცხადებდა თავს ქართველ კათოლიკედ. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, იგი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, როგორც შუამავალი წმიდა საყდარსა და საქართველოს პარლამენტს შორის. შესაშური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს პატრიარქთან, რომელიც, თავის მხრივ, სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა მის მიმართ".

რედაქცია

ქალბატონო ნინო, როგორ გაიხსენებთ ოქტომბრის რევოლუციას?

მხოლოდ ჩემი მშობლების ისტორიით. მამაჩემი, მიხეილი, საქართველოში დაიბადა, როდესაც ეს ქვეყანა ჯერ კიდევ თავისუფალი და სუვერენული იყო. პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, დედაჩემი გაიცნო და მასზე დაქორწინდა, დედა იქაური იყო. 1918 წელს იგი ბერლინს გაემგზავრა საქართველოს მთავრობის დავალებით. სწორედ იქ, 1919 წლის 20 აგვისტოს, დავიბადე მე. მამა საქართველოში 1920 წლის ნოემბერში დაბრუნდა. მაგრამ 1921 წლის თებერვალში საქართველო საბჭოთა საოკუპაციო არმიამ დაიპყრო და მამამ შეძლო იტალიის გემზე ასვლა, რომელიც შავი ზღვიდან ბრინდიზში ჩავიდა; იქედან ბერლინში გაემგზავრა, სადაც „სიმენსში" (Siemens) დაიწყო მუშაობა.

როგორი იყო თქვენი ბავშვობა ბერლინში, ანუ ჰიტლერის ბერლინში?

ჩვენ ქართველი ემიგრანტების გარემოში ვიზრდებოდით, გერმანელებთან ნაკლები კონტაქტები გვქონდა. მახსოვს, ერთ შაბათს, როდესაც სიმღერის გაკვეთილიდან სახლში ვბრუნდებოდი, მარშით მიმავალ ესესელთა მიერ ოკუპირებულ ქუჩაზე აღმოვჩნდი: მათ სწორედ ამ დღეს ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, მაგრამ მე ეს არ ვიცოდი, რადგანაც არანაირი ინფორმაცია არ მქონდა; მეც მაშინვე ნაცისტურ მსვლელობას შევუერთდი. როდესაც სახლში მივედი, მამაჩემს ჩემი გალახვა უნდოდა იმის გამო, რომ ფაშისტებთან ერთად მარშით ვიარე! ჩვენს უბანში აქტიური და გაბედული კათოლიკეების ერთი ჯგუფი ცხოვრობდა. წინამძღვართან ერთად, ჩვენ ბიბლიის კითხვის წრე ჩამოვაყალიბეთ: პატარა მოჯანყეებს ვგავდით, თანაც თვალშისაცემიც არ იყო ეს საქმიანობა. ასე აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას თხუთმეტიდან ოც წლამდე ასაკის ახალგაზრდულ კათოლიკურ მოძრაობაში, ვიდრე იგი არ დახურეს.

თქვენ ბერლინში იყავით „ბროლის ღამეს..."...

დიახ, და ეს მოგონება დღემდე მაწუხებს. 1938 წლის გაზაფხულზე ბერლინის უნივერსიტეტში ჩავაბარე ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში პოლიტიკურ საკითხებზე არ ლაპარაკობდნენ: ერთი თავდაჯერებული ნაცისტი ლექტორი გვყავდა, რომლის კარგი თვისება ის იყო, რომ პოლიტიკაზე სიტყვასაც არ ძრავდა ლექციაზე.

მამაჩემს სურდა, ავტომანქანის მართვის მოწმობა ამეღო, რადგან თვითონ არ მართავდა მანქანას. მაშინ ქალაქის ცენტრში წავედი მართვის შემსწავლელთა კურსებზე. სკოლაში დაძაბული ატმოსფერო

დამხვდა. მითხრეს, რომ წინა ღამით – ისტორიაში იგი შევიდა, როგორც „ბროლის ღამე“ – გერმანელებმა ყველა ებრაელის მაღაზიის ვიტრინები ჩაამსხვრიეს და ყველაფერი წაიღეს. მაშინ ბერლინის ერთ-ერთი მთავარი ქუჩისკენ გავემართეთ, რომელიც სავსე იყო ებრაელთა მაღაზიებით; მინებჩამსხვრეულ მაღაზიებში გერმანელები დავინახეთ, რომლებსაც ყველაფერი გაჰქონდათ. მართლაც, საშინელი სანახავი იყო ეს ყოველივე. შორიდან კი ცეცხლმოკიდებული სინაგოგები მოჩანდა. ჩემი ოჯახი ებრაელთა აოხრებაში არ მონაწილეობდა, რის გამოც ერთმა ჩვენმა მეზობელმა ესესელთა წინაშე დაგვასმინა: სულ რამდენიმე დღეში მამაჩემი გესტაპომ აიყვანა. კიდევ კარგი, რომ მისმა სამსახურმა გამოიხსნა. 1939 წლის 25 აგვისტოს მამა მილანში გაემგზავრა, ხოლო 1 სექტემბერს ჰიტლერმა პოლონეთი დაიპყრო. ოჯახის დანარჩენი წევრები 1940 წლის მარტამდე იტალიაში გამგზავრების მოლოდინში ვიყავით. ამდენად, მე ორგზის ვიყავი მოწმე ომის გამოცხადებისა: 1 სექტემბერს ბერლინში, მეორედ კი მილანში, კავურის მოედანზე, სადაც საკუთარი ყურით მოვისმინე მუსოლინის საუბარი. ორმოციანი წლების მიწურულს, იტალიის მოქალაქეობა მოვითხოვეთ. ჩემმა ძმამ, გიორგიმ, რომელიც ფუჩის კათოლიკურ უნივერსიტეტში დადიოდა, ანდრეოტს მიმართა, მაგრამ მან უარყო ეს თხოვნა. ხოლო ჯუზეპე ლაძატი, პარლამენტის დეპუტატი, სპეციალურად ჩავიდა რომში ჩვენს გამო და, როგორც იქნა, მივაღწიეთ იტალიის მოქალაქეობას, ეს კარგი პირობა იყო იმისთვის, რომ ჩემს ძმას,– იგი ექიმი იყო,– სამუშაო მიეღო.

ნაცისტური გერმანიის შემდეგ, თქვენ მილანშიც ფაშიზმი დაგხვდათ...

ჩემი ძმის წყალობით, დონ ანდრეა გეტი გავიცანი და ვთანამშრომლობდი ოსკართან (ორგანიზაცია, რომელიც ებრაელებს ეხმარებოდა გაქცევასა და დეპორტაციაში). სრულებითაც არ ვიყავით გმირები, უბრალოდ, დახმარების ხელს ვუწვდიდით მათ; ვმონაწილეობდი გუიდეს (Guide) დაარსებაში, სკაუტების ფემინისტური ჯგუფის წარმომადგენლებმა 1945 წლის 5 მაისს პირველი შეხვედრა გავმართეთ და 14 ოქტომბერს აღთქმები დავდეთ. მილანში შედგა ასევე ჩემი აკადემიური კარიერა. ერთი ფრანცისკელი ლექტორის დახმარებით, კათოლიკურ უნივერსიტეტში რუსული ენის სწავლების უფლება მოვიპოვე. მაგრამ ვაღიარებ: სრულიად მოუმზადებელი ვიყავი. ოჯახში რუსულად ვსაუბრობდით, მაგრამ იძულებული გავხდი, პედაგოგიური მოღვაწეობის გამო, შემესწავლა ენა და ლიტერატურა. რუსულ ლიტერატურას ვასწავლიდი ტურინსა და ბარში. 1969 წელს, პროფესორ ბრანკას წყალობით, გავხდი ბერგამოს უნივერსიტეტის ტექნიკური კომიტეტის წევრი. 1968 წლიდან, ჩემი კარიერის ბოლომდე, ამ უნივერსიტეტში ვასწავლიდი, ვიყავი უცხო ენათა ფაკულტეტის პრეზიდენტი, დავაარსე სლავური ინსტიტუტი, რომლის 40 წლისთავი სულ რამდენიმე კვირის წინ აღვნიშნეთ.

თქვენს ესოდენ საინტერესო ცხოვრებაში ჩანს ეკუმენური დიალოგიც...

ჩემი ოჯახის წევრები ლათინური წესის კათოლიკეები იყვნენ. მე არაფერი ვიცოდი მართლმადიდებლობაზე; ამ სამყაროში პავლე ფლორენსკის ნაშრომებმა შემიყვანა და მოხდა ისე, რომ ბოლო წლებში მართლმადიდებლებთან დიალოგს მივმართე, განსაკუთრებით შევისწავლე ქალთა მონაზონობის საკითხი, კერძოდ, დამაინტერესა დედა მარიას ფიგურამ; ქალბატონი, რომელიც, დაუდგრომელი ოჯახური მოვლენების შემდეგ, სასულიერო ცხოვრებას ირჩევს და თავის მონასტერში გაჭირვებულებს ეხმარება, პარიზში, სადაც იგი ცხოვრობდა, გერმანელების ოკუპაციის დროს, ებრაელების მიმართ გაწეული დახმარების გამო, დაიჭირეს და საკონცენტრაციო ბანაკში გადააგზავნეს, სადაც გაზის კამერაში დაიღუპა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ კი სრულიად ახალ ასპარეზზე გამოჩნდით– სატუსაღოში...

სილვანა ჩერუტის წყალობით, – რომელმაც ციხეში

ნინა ყაუხჩიშვილი საქართველოში 2009 წელს გამართულ ასურელი მამებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (შეხვდრა საპატრიარქოში)

გახსნა პოეზიის სალონი, – მიწვეული ვიყავი პატიმრებთან, რუს პოეტებზე სასაუბროდ. ასე დაიწყო ჩემი სტაბილური თანამშრომლობა მათთან. აქ ბევრი რამ შევისწავლე: პოეზიის მეშვეობით პატიმრები გამოხატავენ პროტესტს, გულღიობას. ერთ-ერთი მათგანი მწერდა: „დრო, რომელიც პოეზიის სალონში გადის, ჩვენთვის სინათლეა“. სიბერის ჟამს ციხეში მუშაობა სრულიად ახალი გამოცდილება იყო ჩემთვის.

მუდამ ვიმეორებ: ყოველთვის ვიყუროთ წინ და არასოდეს უკან.

წერილი ბათუმის საკრებულოდან

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ძვირფასო მამა ჯუზეპე, მადლობას გიძღვნით იმ წერილსთვის, რომელიც "საბას" დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა. წერილში მოყვანილია ის გულსატკენი ფაქტები, რომლებიც კარგა ხანია აშფოთებს საქართველოს კათოლიკეებს - ყოველ საკრებულოს, ყოველ მორწმუნეს. ეს პროცესი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და უფრო და უფრო აგრესიულ სახეს ღებულობს. ცალკეული მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ (ჩვენ გვიჭირს მათი მღვდლებად მოხსენიება, რადგან მღვდლობა განსაკუთრებული მადლია და ამ მადლის მქონე პირი მორწმუნეთა შორის შუღლის ჩამოგდებას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ქრისტიანულ სიყვარულს) შეცდომაში შეყვანილმა, ფანატიკურად განწყობილმა ცალკეულმა პირებმა თუ ჯგუფებმა (მაგ., "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი") ისარგებლეს რა კათოლიკე ეკლესიის შემწყნარებლური პოზიციით, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოთა ინერტულობით, თანდათან გააძლიერეს აგრესია სხვა კონფესიის მორწმუნეთა, განსაკუთრებით კი - კათოლიკეთა მიმართ. ისინი ჩამოყალიბდნენ, როგორც სახელმწიფოში სახელმწიფო, რომელსაც არ ეხება საქართველოს კონსტიტუცია, და რომლებიც კანონებზე მაღლა დგანან. ისინი თავს ქრისტიანებს კი აღარ უწოდებენ, არამედ მართლმადიდებლებს, და მათი სახელით (საკითხავია, რომელი სიმართლის მადიდებლების სახელით) აკეთებენ იმას, რაც სურთ და როგორც სურთ. მათ წინაშე თავს ხრიან სახელმწიფო მოხელეები, ისინი აიძულებენ მოსამართლეებს, მათ სასარგებლოდ გამოიტანონ განაჩენი, ან შეწყვიტონ საქმის განხილვა. შედეგად კი მითვისებულია ჩვენი ეკლესიები, ხელახლა ნათლავენ კათოლიკეებს (რაც, საქართველოს გარდა, არც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში არ ხდება), პრობლემებს უქმნიან კათოლიკე ქრისტიანებს, მათი ოჯახის წევრებს. კათოლიკეებზე ზემოქმედება განსაკუთრებით გახშირდა სამხრეთ საქართველოში. ადგილი აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების უხეშ დარღვევებს. ამ დროს სახელმწიფო მოხელეებს სირაქლემას პოზიცია უჭირავთ.

როდესაც ბათუმის ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს გადასცეს, განგვიცხადეს: „მართლმადიდებელებისა და კათოლიკეების ერთ ტაძარში ლოცვა არ შეიძლებაო"(?!), თუმცა მანამდე გვარწმუნებდნენ, რომ როდესაც ტაძარი გაიხსნებოდა, ორივე აღმსარებლობის წარმომადგენლებს შეეძლებოდათ იქ წირვის ჩატარება, მათთვის გამოყოფილ დღეებში.

მამა გაბრიელე ბრაგანტინის, თავის სტატიაში „რომაული საღამო" („საბა" № 12, 2009 წ., გვ. 5), აღწერილი აქვს რომის წმ. ვინსენტისა და წმ. ანასტასიას სახელობის კათოლიკურ ტაძარში მართლმადიდებელ ბერთან შეხვედრა, ტაძარში, სადაც მართლმადიდებლები და კათოლიკეები ერთსა და იმავე საკურთხეველზე აღასრულებენ წირვას. ძვირფასო მეგობრებო, თურმე შესაძლებელი ყოფილა მართლმადიდებელ და კათოლიკე ქრისტიანთა ერთსა და იმავე ტაძარში ლოცვა (ამგვარი შემთხვევის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება). სხვაგან თუ შესაძლებელია ერთად ლოცვა, რა გვიშლის ხელს ჩვენ, ქართველებს, საქვეყნოდ ცნობილ ტოლერანტ ხალხს, რომ ქრისტიანებმა ერთ ტაძარში ერთად ვილოცოთ, თუნდაც ჩვენ-ჩვენი განსხვავებული ტრადიციების მიხედვით?

რამდენჯერ მოვისმინეთ მისი უწმიდესობის, საქართველოს პატრიარქისგან, რომ მართლმადიდებლები და კათოლიკეები ძმები არიან, და რომ განყოფა ბიზანტიასა და რომს შორის პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა, რომ საქართველო-რომის ურთიერთობაზე ამას გავლენა არ მოუხდენია, რომ ჩვენს შორის დოგმატურ საკითხებშიც ძალიან მცირე განსხვავებაა. როდესაც ამ სიტყვებს ვისმენდით, გვჯეროდა, რომ ეს გულწრფელად იყო ნათქვამი, მით უმეტეს, ვიცოდით, რომ ისტორიულად ეს მართლაც ასე იყო. ეს განცხადებები კეთდებოდა მაშინ, როდესაც საპატრიარქო იკავებდა ჩვენს ეკლესიებს, ჩვენი წინაპრების მიერ დიდი რუდუნებით აგებულ სალოცავებს. განა სწორია, როდესაც მართლმადიდებელი მოძღვრები უკრძალავენ მორწმუნეებს დასავლური ტრადიციებით შესრულებული ხატების, ჯვრების, წმიდანთა გამოსახულებების სახლში დასვენებას, მოუწოდებენ მათი განადგურების, დაწვის, მიწაში ჩაფლვისაკენ? რა დავარქვათ ამას?

ჩვენთვის, კათოლიკეებისათვის, არ არსებობს განსხვავება ხატებს შორის. არ არსებობს ორი ქრისტე, ორი ღვთისმშობელი, ერთია მაცხოვარი და ერთია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. ყოველი ხატი, იქნება ის აღმოსავლური ტრადიციით შესრულებული თუ დასავლურით, ერთნაირად სათაყვანებელი და პატივსაცემია.

როდესაც სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის კონკორდატი ფორმდებოდა, სულ სხვა რამეს გვპირდებოდა ორივე მხარე. რატომ არ შეასრულეს მათ ეს პირობა? სიცრუის თქმა, დანაპირების შეუსრულებლობა, პირის გატეხვა ნუთუ ცოდვა არ არის ღმერთის წინაშე?

ჩვენო მართლმადიდებელო და-ძმანო, რა არის მართლმადიდებლობა? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს მართალი სარწმუნოების, ქრისტეს რწმენის მადიდებლობაა. დასავლური, ანუ ლათინური წესის ქრისტიანები, ასევე, აღმოსავლური წესის ქრისტიანებიც მართალი რწმენის, ქრისტეს რწმენის მადიდებლები არიან. ჩვენ მსოფლიო, საყოველთაო, ანუ კათოლიკე ეკლესიის წევრები ვართ, რომელიც წმ. პეტრემ დააფუძნა, თქვენ კი საქართველოს ეკლესიისა, სადაც წმ. ანდრიამ, წმ. პეტრეს ძმამ იქადაგა და პირველი ქრისტიანული საკრებულოები დააფუძნა. ჩვენ, ყველანი, ერთი მთლიანი ქრისტეს ეკლესიის წევრები ვართ. კარგად დავფიქრდეთ, ვის სურს ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდება? ვის ემსახურებიან ისინი? განა ქრისტეს რწმენა ამას გვასწავლის? ქრისტე დაყოფისკენ მოგვიწოდებს, თუ ერთიანობისა და სიყვარულისკენ?

ის, რაც დღეს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მიმართ ხდება, ძალიან ჰგავს იმ პოლიტიკას,რასაც რუსეთის ცარიზმის ჟანდარმერია ახორციელებდა საქართველოს ძალით მიერთების შემდეგ. შეიძლება, ნებით თუ უნებლიეთ, ისინი რუსული სახელმწიფო მანქანის ნების გამომხატველნი არიან.

ცალკეული ჯგუფები მოსახლეობაში ავრცელებენ პაპისა და კათოლიკე ეკლესიის შეურაცხმყოფელ ბუკლეტებს. დიახ, სამწუხაროა, რაც ამერიკაში მოხდა. ამაზე მისმა უწმიდესობამ, რომის პაპმა საქვეყნოდ განაცხადა და დაგმო იგი. ჩვენი ეკლესია გმობს ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს და არ ცდილობს, მიჩქმალოს ის. მაგრამ რა კავშირი აქვს ამას ცელიბატთან? განა აღმოსავლეთში განდეგილები, მეუდაბნოე ბერები, ეპისკოპოსები იმავე ცელიბატს არ იცავენ? განა დასაძრახია, როდესაც ადამიანი მთელ თავის ცხოვრებას ღმრთის სამსახურს უძღვნის?

ადამიანი უცოდველი არსება არ არის. ხშირად ადამიანები საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავენ და სხვისკენ იშვერენ ხელს. დიახ, ძალზე სამწუხაროა, როცა ქრისტიანები ასეთ ცოდვაში ვარდებიან. მაგრამ ამ დროს ნიშნის მოგებით კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ვილოცოთ, რათა სატანამ ვერ გაიმარჯვოს. ამ ბუკლეტების გამავრცელებლები თუ კარგად გაახელენ თვალს, საკუთარ ეზოში, საკუთარ ეკლესიაშიც საკმაოდ აღმოაჩენენ ასეთ ცოდვილებს. მაგრამ ჩვენ არ ვსაუბრობთ ამაზე ნიშნის მოგებით, პირიქით, სულაც არ გვახარებს ასეთი ფაქტები, რადგან ეს საერთო ტკივილია თითოეული ქრისტიანისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ, სხვა ცოდვათა შორის, არანაკლებ მძიმე ცოდვაა ცილისწამება.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოს შვილები და კათოლიკე ეკლესიის წევრები ვართ; ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს წინაპრებს არაფერი დაუშურებიათ ქრისტიანული რწმენისა და სამშობლოს ძლიერებისათვის; ვამაყობთ, რომ საქართველოში ყოველი მნიშვნელოვანი სიახლის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის გადადგმული ყოველი ნაბიჯის ინიციატორები და ხელშემწყობნი, მართლმადიდებლებთან ერთად, კათოლიკე სასულიერო თუ საერო პირებიც იყვნენ; ვამაყობთ, რომ კათოლიკე ეკლესია ძველთაგანვე მხარში ედგა და დღესაც უდგას ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას; ვამაყობთ, რომ ჩვენი ძვირფასი მოძღვრები, ჩვენი საკრებულოს წევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა საქართველოში ადამიანთა შორის სიყვარულმა, ურთიერთპატივისცემამ, ქრისტიანულმა თანადგომამ დაისადგუროს. ჩვენს ტაძრებში მუდამ აღვავლენთ ლოცვებს ჩვენი ქვეყნის, ქრისტიანული რწმენისა და ჩვენს ეკლესიებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

მოგმართავთ ჩვენო "გადანათლულო" და-ძმანო, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის მიზნით გადაინათლეთ, გვერწმუნეთ, თქვენ გულმოდგინე მართლმადიდებლები ვერ იქნებით, რადგან მტკიცე რწმენა არ გაგაჩნიათ. ეცადეთ, შეიცნოთ ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტება და მტკიცედ დაიცვათ ის. ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის.

ბათუმის სულიწმიდის კათოლიკური ეკლესიის მრევლი

ჯვარცმული იესოს ტერფები

ცნობილია, რომ იესოს გამოსახულება, არა მხოლოდ მისი სახე, არამედ მთელი მისი სხეული, უკავშირდება წმიდა სუდარას, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ჯერ კიდევ ედესაში, შემდეგ კონსტანტინოპოლში, საფრანგეთში - ლირეიში; დღესდღეობით იგი დაცულია



ტურინში. ყველა მეცნიერი ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ სუდარაზე გამოსახული ადამიანი გარდამოხსნილ იქნა ჯვრიდან უკვე გაშეშებულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, კიდურებმა შეინარჩუნა თავისი მდგომარეობა. სხეულის სუდარაში გახვევამდე, მას გაშეშებული ხელ-ფეხი გაუსწორეს, ხელები კი ერთმანეთზე მაჯებით გადააბეს.

დღეს სუდარაზე შეინიშნება, რომ მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლეა და უფრო უმნიშვნელო ანაბეჭდს ტოვებს ქსოვილზე, განსაკუთრებით მუხლის დონემდე. ეს ფაქტი მიანიშნებს, რომ სიკვდილის მომენტში მარცხენა ფეხი მოხრილი იყო, ხოლო მარჯვენა გასწორებული. ტერფების მდგომარეობა ამტკიცებს ფაქტს: მარცხენა ტერფი შიგნითაა შეწეული მარჯვენასთან მიმართებაში და მხოლოდ ქუსლითაა დაყრდნობილი, ხოლო მარჯვენა ტერფი მთლიანადაა აღბეჭდილი. მეცნიერთა დასკვნა ერთსულოვანია: მარცხენა ტერფი ზემოდან იყო დადებული მარჯვენაზე (პროფესორები: ბარბეტი, ლეგრანი, ბერნა, რიჩი და სხვ.). ამ მოვლენამ იკონოგრაფიაშიც ჰპოვა ასახვა: ზოგიერთ ბიზანტიურ მონეტაზე ერთ-ერთი ტერფი ძალზედ გადიდებულია. არსებობდა ქრისტიანული სექტაც, რომელიც თაყვანს სცემდა კოჭლ ქრისტეს!

სუდარის ამ გამოსახულებაზე გაკეთებულმა დასკვნამ ბიძგი მისცა ორი სახის იკონოგრაფიას:

- დასავლური ტიპი, რომელიც ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ორი ტერფი ერთმანეთზეა გადადებული და მხოლოდ ერთი ლურსმნითაა დაჭედებული.

- აღმოსავლური ტიპი, რომელიც ზუსტად იღებს იმას, რაც ჩანს სუდარაზე: ორი ფეხი ერთმანეთისგან დაცილებულია და სხვადასხვა მხარესაა მიმართული, მაგრამ ერთი მეორეზე მოკლეა, რაც ხსნის ბიზანტიური ჯვრების ფეხსადგამის დახრილობას.

ორნაირი გამოსახვის ეს სხვადასხვაობა არ ასახავს დოგმატურ განსხვავებას, ეს არის სხვადასხვანაირი



გამოსახვა იმისა, რაც ასახულია სუდარაზე. აღმოსავლეთი სუდარის ზუსტი ასლის მიხედვით გამოსახავს სხეულს ისე, როგორც ის ჩანს საფლავში, როგორიც ის აღდგა, დასავლეთი კი ეხმიანება ჯვარცმის ისტორიულ ფაქტს და გამოსახავს სხეულს ჯვარზე, ერთმანეთზე მილურსმული ტერფებით.

მამა პიერ დიუმულენი



ჰაიტი, 2010 წლის 12 იანვრის მიწისძვრა

მხოლოდ ერთი კვირა გავჩერდი პორტ ო'პრენსში, დედაქალაქი შემოვიარე, ყველგან ნანგრევებს ვაწყდებოდი... ნაგებობათა 80% დანგრეულია, ან ჩამონგრევის პირასაა და საცხოვრებლად უვარგისი. ადამიანთა თვალებში ჯერ კიდევ ჩანს 12 იანვრის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად გადატანილი ძრწოლა: სიკვდილს გადარჩენილები საკუთარი საცხოვრებლის ნანგრევების წინ შეკრებილიყვნენ და თავს აფარებდნენ სხვადასხვა ნაჭრებისა თუ ცელოფნებისაგან შეკოწიწებულ კარვებს, წვიმებისა და დილის უხვი ნამისაგან თავდასაცავად. ბევრმა თავი შეაფარა ნაწილობრივად დანგრეულ სახლებს, რომლებიც, განმეორებითი მრავალჯერადი ბიძგების შედეგად, მოულოდნელად დაინგრა და ადამიანებიც ქვეშ მოიყოლა. ხალხი შეშინებულია, ყველას ღია ცის ქვეშ სძინავს, ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენლები კი ამ შიშს კვებავენ მიწისძვრის შემდგომი ძლიერი ბიძგების შემაშფოთებელი პროგნოზებით. ტრაგედიიდან ერთი თვის შემდეგ, როდესაც დადიხარ დანგრეულ ქალაქში, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მიწისძვრა სულ ახალი მომხდარია: ზარალი იმდენად დიდია, რომ აქამდე გაწეული დახმარებები თითქმის შეუმჩნეველია; გარდა ამისა, სხვადასხვა დამხმარე ჯგუფები უკვე ალაგებენ თავიანთ კარვებს და წასასვლელად ემზადებიან, რადგან დახმარების ტალღა ნელდება. ქალაქში მხოლოდ ნანგრევები ჩანს და კვლავ იგრძნობა გვამების მძაფრი სუნი. მთელ ქალაქში მხოლოდ ორი ექსკავატორი ვნახე, გარდაცვლილთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ნანგრევების ქვეშაა ჩარჩენილი, სადაც მხოლოდ ძაღლები ახერხებენ შეძრომას მათ დასაგლეჯად. ხალხი მხოლოდ საკუთარი ხელების ამარაა დარჩენილი, რომ ჩამარხული ამოთხაროს, ან დანგრეული აღადგინოს, მაგრამ აღარ აქვთ ძალა. სახლების გარდა, ნანგრევებადაა ქცეული საავადმყოფოები, სკოლები, ოფისები, მაღაზიები, ბანკები, ასე რომ ადრე არსებული სამუშაოს მცირედი შესაძლებლობაც გაქრა: ჰაიტიში ყველაფერი განადგურდა! მხოლოდ რწმენა დარჩა. ტრაგედიიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, ჰაიტელები შეიკრიბნენ ჩვენი მისიის ეკლესიაში და სამი დღე მთელი დედაქალაქის მოედნებზე უფალს ადიდებდნენ, მადლობის მისაგებად მღეროდნენ და ცეკვავდნენ ყველაზე სუფთა და ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილები, რაც კი იმ დროისათვის მოეპოვებოდათ.

ისინი არ ეკითხებიან ღმერთს, თუ რატომ გაწირა მან სასიკვდილოდ ამდენი ხალხი, არამედ სვამენ კითხვას, თუ რატომ გადაარჩინა ღმერთმა სწორედ ისინი. გრძნობენ ღვთის სიყვარულს, რაკი გადარჩნენ, და ეს აძლევთ ძალას, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყონ. მე, რაკი ვიცოდი უკვე არსებული მდგომარეობა, ჩავედი იქ ყოველგვარი იმედის გარეშე, მაგრამ პარადოქსია, რომ სწორედ მათ მომცეს მე დიდი იმედი. ჰაიტელებმა აქეთ მანუგეშეს!

ჩვენი მისიის შენობამ გაუძლო დარტყმას, მიუხედავად იმისა რომ გაჩნდა ბევრი ბზარი და ყველაფერი შესაკეთებელია. პირველ დღეებში ასობით სხვადასხვა ოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო, სამედიცინო პერსონალი ქირურგიულ ინსტრუმენტებსა და მედიკამენტებს ეძებდა გახეთქილი მილების შედეგად დატბორილ იატაკზე მიმოყრილ სხვადასხვა აპარატებსა და მოწყობილობებს შორის; სწორედ მაშინ, როდესაც ყოველ წამს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, იტანჯებოდნენ საჭირო ინსტრუმენტების ძებნით. ამჟამად სხვადასხვა მომსახურება უკვე აღდგენილია და ჩვენი საავადმყოფო უბრუნდება სრული სახით ფუნქციონირებას, იტალიიდან გაგზავნილი კონტეინერებიც მალე ჩააღწევს დანიშნულების ადგილამდე. დღესდღეობით ჩვენს სემინარისტებს კარვებში სძინავთ; ხოლო როდესაც შენობაში არიან და ბიძგს იგრძნობენ, მაშინვე გარეთ გარბიან მდუმარედ, შემდეგ კი ბრუნდებიან უკან ცრემლიანი თვალებით: შეძრწუნებულნი იხსენებენ მეგობრებისა და ნაცნობების ყვირილს, რომლებიც დაიღუპნენ მათ თვალწინ, რადგან შეუძლებელი იყო ნანგრევების ამოთხრა შიშველი ხელებით.

კომენტარს არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ პორტ ო'პრენსში, კამილიელთა კონგრეგაციის უპატრონო ბავშვთა ერთ-ერთი სახლის დირექტორი, დამანგრეველ მიწისძვრამდე რამდენიმე წუთით ადრე, ისე რომ არც იცოდა რატომ, შევარდა შენობაში და ყვიროდა, რომ ყველა ბავშვი სასწრაფოდ გასულიყო გარეთ: შენობა მთლიანად ჩამოინგრა და სამოცი ბავშვი გადარჩა. მისიაში შესაძლებლობა მქონდა, გამეცნო ბევრი გადარჩენილი: ოზიმი, 16 წლის ბიჭი, ამპუტირებული მკლავითა და მარცხენა ფეხით, სილარიბეში ცხოვრობდა და მისი ერთადერთი ოცნება და შვება იყო ფეხბურთის თამაში. იზაბელი, 14 წლის, დაკარგა ოჯახი და დარჩა მარტო პატარა უილსონთან ერთად, რომელიც მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ნაყოფია. ახლა საკუთარი შვილის ძუძუთი კვებაც არ შეუძლია, რადგან ფიზიოლოგიურად ძალიან ახალგაზრდაა. ჩვენი ბავშვებიც (foyer bethleme-დან) გადარჩნენ, მათ უვლიან და კვებავენ, მაგრამ მძიმე ცხოვრება აქვთ: მოგიახლოვდებიან, ხელზე ხელს გკიდებენ და ლოყაზე იდებენ, თვალებს ხუჭავენ და იღიმებიან, რადგან წარმოიდგენენ, რომ ეს მათი დედის ხელია. ისინი მხოლოდ იმიტომ მიატოვეს, რომ მათი ხეიბრობა მიჩნეულია ვუდუს წყევლად.

ეს სურათი ჰაიტიში გადავიღე და იქაურობას ასახავს. ახლა ჩემს გონებაში დაჟინებით მეორდება კითხვა: თუკი ის ხალხი თავის თავს ეკითხება, თუ რატომ აკურთხა ისინი ღმერთმა ისე ძლიერად, რომ შეუნარჩუნა სიცოცხლე, მე, ვინც ვცხოვრობ აქ, იტალიაში, რა უნდა ვიფიქრო ჩემს თავზე?

არაფერი მრჩება იმის გარდა, რომ შევუერთდე ჰაიტელების მიერ ღვთის სადიდებლად აღვლენილ ლოცვებს.

ფრანჩესკო საზია,
კამილიელი, 18 თებერვალი, 2010

P. S. *ფრანჩესკო საზია ჰაიტიში საგანგებო მისიით იყო მივლენილი. მან ჰაიტელებს ის მცირედი დახმარება ჩაუტანა, რაც საქართველოს კათოლიკეებმა მათთვის შეაგროვეს. ამ კეთილშობილურ საქმეში საქართველოში მოქმედმა ყველა კათოლიკურმა საკრებულომ მიიღო მონაწილეობა.*

სკანდალი ღარიბი ქვეყნებისათვის შეძენილი ფალსიფიცირებული წამლების გამო

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OMS) საქვეყნოდ ცნობილი გახადა ფალსიფიცირებული წამლების ღარიბი ქვეყნებისათვის მიყიდვის ფაქტები; მაგ: აფრიკაში გაყიდული მალარიის საწინააღმდეგო წამლების 50% ფალსიფიცირებულია, არაოფიციალური წყაროები კი 60%-ს ვარაუდობენ.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებს, რომ აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ლათინურ ამერიკაში მოხმარებული წამლების 30%-ზე მეტი გაყალბებულია. ჯანდაცვის პონტიფექსის სამოციქულო საბჭოს პრეზიდენტმა, მთავარეპისკოპოსმა ზიგმუნდ ჟიმოვსკიმ ამ მძიმე ფაქტებს ფარდა ახადა, 11-14 სექტემბერს, პოლონეთის ქ. პოზნანში გამართულ კათოლიკე ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო კონგრესზე, რომლის თემა იყო: „სამედიცინო თავდაცვა: ფარმაცევტთა ეთიკა და სინდისი“.

„წამლების ფალსიფიცირება, – განაცხადა მთავარეპისკოპოსმა თავის გამოსვლაში, – უწინარესად მოზარდი ასაკის ინდივიდებს აყენებს ზიანს. ყალბი ანტიბიოტიკები და ვაქცინები მძიმე ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე. აფრიკაში ბევრი ბავშვი გარდაიცვალა რესპირატორული დაავადებით, მათ შორის, უმრავლესობა – ფალსიფიცირებული ანტიბიოტიკებით. ანტიბიოტიკების დოზირებული გამოყენება, ზოგ შემთხვევაში, იწვევს რეზისტენტული ბაქტერიების სელექციას. რაც შეეხება პრეპარატების შედგენილობას, გამოიყენება ტოქსიკური ნივთიერებები, რამაც შეიძლება ბავშვის სიკვდილი გამოიწვიოს, როგორც ეს მოხდა ჰაიტიზე და ნიგერიაში“.

მსგავსი აღმაშფოთებელი ფაქტებია განხილული პონტიფექსის, ბენედიქტე XVI ის ენციკლიკაში „Caritatas in veritate“, სადაც სანდო წამლების საკითხი სანიტარული და ეთიკური აუცილებლობითაა განხილული. ეს უპირველესად ეხება განვითარებად ქვეყნებს. პირველ რიგში, საუბარია სიცოცხლისათვის აუცილებელ წამლებზე. OMS-ის მიერ ჩატარებული კვლევებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის შეძენილი წამლების მეოთხედი ფალსიფიცირებულია. ამ სიტუაციის გათვალისწინებით, მეუფე ჟიმოვსკი ყველას, და განსაკუთრებით კათოლიკე ფარმაცევტებს, მოუწოდებს, რომ: “გაბედულად ამხილონ წამლების გაყალბების და ფალსიფიკაციის ყველანაირი ფაქტი და წინ აღუდგნენ მათ დისტრიბუციას“.

შემდეგ მთავარეპისკოპოსმა გაიხსენა იოანე პავლე მეორისა და ბენედიქტე XVI-ის მოსაზრებები კათოლიკე ფარმაცევტების როლის შესახებ სიცოცხლის სამსახურში: ამ რთულ მისიაში “შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის, ან კანონმდებლობის საამებლად განუდგე საკუთარ სინდისს“, – აღნიშნავდა პაპი ვოიტილა 1990 წლის 3 ნოემბერს კათოლიკე ფარმაცევტების საერთაშორისო ფედერაციის წინაშე; იოანე პავლე მეორის აზრით, – „კანონიერ და აუცილებელ შემოსავალს ყოველთვის უნდა განაპირობებდეს მორალური კანონის პატივისცემა და ეკლესიის სწავლება“. „კათოლიკე ფარმაცევტებისათვის, – დასძენდა პაპი, – ეკლესიის სწავლება სიცოცხლის და პიროვნების პატივისცემის კუთხით, ადამიანის ჩასახვიდან მის სიკვდილამდე, ეთიკური და მორალური ხასიათისაა. არ შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებები, ან შემთხვევითი არჩევანი ახდენდნენ მათზე ზეგავლენას“.

ასევე, მნიშვნელოვანია ბენედიქტე XVI-ის უწყება, რომელიც პოზნანის კონგრესის მონაწილეებს გაეგზავნა. მთავარეპისკოპოსმა ჟიმოვსკიმ კონგრესის მონაწილეებს შეახსენა ბენედიქტე XVI-ის მიერ 2007 წელს კათოლიკე ფარმაცევტების შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა: “შეუძლებელია გაიყინოს სინდისი, მაგ., იმ პრეპარატების ეფექტებზე, რომელსაც მიზნად აქვს ემბრიონის ნიდაციის შეფერხება, ან პიროვნების სიცოცხლის შემოკლება. ფარმაცევტი ყველა ადამიანს უნდა აცნობდეს კაცობრიობის ოხვრას, რათა ყველა არსება დაცული იყოს ჩასახვის წუთიდან ბუნებრივ სიკვდილამდე. წამლები ნამდვილად თერაპიულ როლს უნდა ასრულებდნენ“.

მთავარეპისკოპოსმა, სიტყვის დასასრულს, კვლავ გაახმიანა პაპი რაცინგერის ორი წლის წინანდელი მოწოდება, რათა “სხვადასხვა ფარმაცევტული სტრუქტურები, ლაბორატორიები და საავადმყოფოს კვლევითი ცენტრები, ასევე, ყველა ადამიანი ურთიერთთანადგომას უნდა გამოხატავდნენ თერაპიულ სფეროში, რათა მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი იყოს მკურნალობა და პირველადი აუცილებლობის წამლები, განსაკუთრებით კი ღარიბი ქვეყნის მოსახლეობისთვის. პაპი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ბავშვებზე, რომლებიც „უხმოდ გამოხატავდნენ თავიანთ ტკივილს, რაც ჩვენს სინდისზე უნდა ზემოქმედებდეს“, პირველ რიგში, კი მორწმუნეთა სინდისზე. მაშასადამე, “მეცნიერების და, ასევე, ფარმაცევტული საწარმოების მოვალეობაში უნდა შედიოდეს “პრობლემიდან თავის დაღწევის მოძებნა“ ყველასათვის, თუნდაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის ყველაზე ღატაკისთვის, რომელსაც არ შეუძლია, რაიმე გაიღოს თვითგადარჩენისათვის, იმ პრობლემებიდან თავის დასაღწევად, “რაც პათოლოგიებს და სიცოცხლის რისკს“ უკავშირდება.

2009 წელი: სამოცდათერთმეტი მოკლული ჟურნალისტი

ნიუ-იორკი, 17.11. 2009 წ.

უკანასკნელი ათწლეული ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით მწუხარე მოვლენებით გამოირჩეოდა; მთელ მსოფლიოში: სულ სამოცდათერთმეტი მოკლული. ეს ფაქტი გაერო-ს ასამბლეაზე, საანგარიშო მოხსენებაში განაცხადა ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა (Committee to Protect Journalist (Cpj), რომელიც ბეჭდური მედიის თავისუფლებას იცავს. მხოლოდ გასულ წელს, სააგენტო Ansa-ს მონაცემით, მთელ მსოფლიოში თავიანთი პროფესიული საქმის შესრულებისას სამოცდათერთმეტი ჟურნალისტის მკვლელობა აღირიცხა, მათ შორის არის სამი ოპერატორი; ასევე, ოცდახუთი, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი შემთხვევა. „წლების მანძილზე ეს ყველაზე საშინელი წელი იყო“, – განაცხადა რობერტ მაჰონიმ, კომიტეტის ვიცედირექტორმა. 2008 წელს ნათელი მოეფინა ორმოცდაორი ჟურნალისტის მკვლელობას.

2000 და 2009 წლებში სულ დაიღუპა 735 ჟურნალისტი. მათ შორის, 238 მოკლეს აზიაში, 202 – ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში, 162 – ამერიკაში, 68 - ევროპაში, 53 – აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში და 12 – კარიბის კუნძულებზე. ამ მხრივ, პირველობა ერგო ერაყს, სადაც 170 რეპორტიორი ისლამური სექტების ძალადობის მსხვერპლი გახდა, მას მოსდევს ფილიპინები (93) და კოლუმბია (58). ათწლეულის მეორე ნახევარში, მოკლულ ჟურნალისტთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა – 40%-ით, რაც იმაზე მიუთუთებს, რომ, სამწუხაროდ, ფენომენი კვლავ იზრდება.

განცხადება

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 2010-2011 სასწავლო წლისათვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი: სამართლის და ჰუმანიტარული (თეოლოგიის მიმართულებით).

უნივერსიტეტმა მორიგი აკრედიტაცია გაიარა 2009 წლის 24 დეკემბერს (გადაწყვეტილება №04-116).

სულხან-საბას უნივერსიტეტი გთავაზობთ საუკეთესო პირობებს კომფორტული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობა. უნივერსიტეტს აქვს ამერკავკასიაში უმდიდრესი ბიბლიოთეკა თეოლოგია-ფილოსოფიის სფეროში, ასევე, უახლესი იურიდიული ლიტარატურა.

სამართლის ფაკულტეტი გთავაზობთ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას. სტუდენტები გაივლიან პროგრამას, რომელიც ადგილობრივი თუ უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების საფუძველზეა შედგენილი. პროგრამაში საგნებისა და მოდულების შერჩევა განპირობებულია იმ უახლესი მოთხოვნებითა და საჭიროებებით, რომელსაც გვიდგენს დასაქმების ბაზარი.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი გთავაზობთ თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. შეისწავლება ქრისტიანული რწმენის საფუძვლები, ძველი და ახალი აღთქმის გადმოცემა, დოგმატური ღვთისმეტყველება, ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციები, ეკლესიისა და ხელოვნების ისტორია.

რატომ ჩვენთან?

იმიტომ რომ უნივერსიტეტი გთავაზობთ ფართო შესაძლებლობებსა და თვითრეალიზაციის უნიკალურ შანსს.

სწავლის საფასური

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე - 2500;
- თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე - 1700 ლარი;
- თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე - 5000 ლარი.

დასაქმებაში ხელშეწყობა

- სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებსაც წარუძღვებიან დარგის გამოჩენილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტები.
- პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა.
- უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.

მისამართი: თბილისი, გ. აბესაძის ქ. № 6. ტელ.: (99522) 989516; ელ. ფოსტა: info@sabauni.edu.ge

განუსვენე მათ, უფალო

ლიზა გალახაშვილი
* 5. 02. 1934 წ. - უდე
† 6. 02. 2010 წ. - თბილისი

იაშა ჩიტაშვილი
* 10. 94. 1941 წ. - ვალე
+ 27. 01. 2010 წ. - ვალე

ემზარ გალახაშვილი
* 1961 წ. - ვალე
†19. 01. 2010 წ. - ვალე

პავლე წალდაძე
* 28.12. 1926 წ. - უდე
† 9. 01. 2010 წ. - უდე

ანა ძუძჩიშვილი
* 3. 05. 1935 წ. - ხიზაბავრა
† 21. 01. 2010 წ. - ხიზაბავრა

განა გოზალიშვილი
* 20.12. 1920წ. ვალე
† 15.11. 2009 - ვალე

მარგალიტა კალაიჯიშვილი
* 21. 12. 1934 წ. - ხიზაბავრა
† 1. 02. 2010 წ. - ხიზაბავრა

სარა გორელიშვილი
* 20. 12. 1928 წ. - ხიზაბავრა
† 28. 01. 2010 წ. - ხიზაბავრა

თამარ ჩილინგარაშვილი
* 15. 03. 1935 წ. - არალი
† 20. 01. 2010 წ. - არალი

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
ჩემი მღვდელი 8
საარქივო მასალები 9
ეკლესიის სოციალური სწავლება 10
ქართველები საზღვარგარეთ 11
ინტერვიუ 12
მკითხველები გვწერენ 14
აქტუალური თემა..... 15
ინფორმაცია 18
ახალგაზრდული გვერდი 19
საგანგებო ჩანართი: ..... I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა", 2010

ინფორმაცია ახალგაზრდებისათვის

ეს საინტერესოა

ჩვენი ინიციატივები :

1. **24-27 მარტი**
   რეკოლექციები წეროვანში მამა პაატასთან ერთად
2. **5-7 მაისი**
   ბუნდის შეხვედრა ორპირში მამა მიშასთან ერთად
3. **8 მაისი**
   მუსიკალური ფესტივალი ქუთაისში
4. **14-15 აგვისტო**
   ახალგაზრდების შეხვედრა ბანაკი
5. **9 ოქტომბერი**
   ინტელექტუალური თამაში ახალგაზრდებისათვის

შენ ნახე!
შენ შეაფასე!
შენ იაქტიურე!

2010 წლის გეგმა

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ

ჩვენ წარმომადგენლებს სამრევლოებში

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია

აღდგომა გათუმში

მომლოცველობა ტრაპიზონში

სამძიმარი პოლონელ ხალხს

საფლავების კურთხევა